603/2 N12038

ლელო

№41
(10952)

ნოემბერი. 1995 წ.
დღევანდელი ნომერი ეძღვნებერდიანია.•ფასი 40 თეთრი

გამოდის 1936 წლის 13 აპრილიდან

ნომერში:

● ლავრენტი ბერია – „დინამოს“ თავგამოდებული ქომაგი ყოფილა..

● აირტონ სენას ინტერვიუ სიკვდილამდე რამდენიმე დღით ადრე.

● გარი კასპაროვი: „თუკი დავრწმუნდები, რომ ამოვწურე ჩემი შესაძლებლობები, პოლიტიკას მივყოფ ხელს“.

● გერმანია კვლავ უმადურია შტეფი გრაფის მიმართ.

● პიერ ლიტბარსკის მიაჩნია, რომ ფინტი „ფეხბურთელის მუზაა“. ამიტომაც ძვეყანაზე ცოტაა ტექნიკური ფეხბურთელი.

● სპორტული სამყარო – არჩევნებში!

● პროფესიული რინგის, ნბა-ს, სოკის ამბები, საჭადრაკო ამოცანა, იუმორი, კროსვორდი..

ყველაფერი ეს და კიდევ ბევრი რამ — „ლელოს“ დღევანდელ ნომერში!

პირველი ლიგა

გათამაშების ცხრილი
მდგომარეობა XII ტურის შემდეგ

		ო	მ.	ვ	წ	გ.	ქ
1.	„მარგვეთი“	12	10	0	2	34-13	27
2.	„სამტრედია“	10	8	2	0	34-12	26
3.	„მეტალურგი“	12	8	0	4	24-16	24
4.	„დინამო“ თბ.	10	7	2	1	28-6	23
5.	„კოლხეთი-1913“	11	7	2	2	26-13	23
6.	„ტორპედო“	11	6	3	2	26-12	21
7.	„დინამო“ ბთ.	11	6	3	2	23-12	21
8.	„დილა“	12	6	2	4	19-14	20
9.	„შევარდენი-1906“ – „ლოკომოტივი“	12	6	0	6	20-23	18
10.	„კახეთი“	12	4	2	6	11-23	14
11.	„დინამო“ ზუგ.	11	4	0	7	22-32	12
12.	„ეგრისი“	12	3	2	7	20-27	11
13.	„ივერია“	12	3	1	8	9-23	10
14.	„სიონი“	12	3	0	9	12-26	9
15.	„გურია“	12	2	0	10	8-30	6
16.	„დურუჯი“	12	0	1	11	2-40	1

პირველად მსოფლიო ჩემპიონატში

მსოფლიოს მორიგი საფეხბურთო ჩემპიონატი 1998 წელს გაიმართება საფრანგეთში. ჩემპიონატში მონაწილეობის მსურველი ქვეყნების რაოდენობამ სარეკორდო რიცხვს მიაღწია — 169-ს, რომელთაგან 167 იბრძოლებს ფინალში მოხვედრის უფლებისათვის. ბრაზილია, როგორც მსოფლიო ჩემპიონი და საფრანგეთი, როგორც ჩემპიონატის მასპინძელი ქვეყანა, უშუალოდ ფინალში ითამაშებენ.

1996 წელს დაიწყება შესარჩევი თამაშები შემდეგ ზონებში: ევროპა (49 კანდიდატი— 14 ადგილი), აფრიკა (36 კანდიდატი— 5 ადგილი), ჩრდილოეთ და ცენტრალური ამერიკა, კარიბის ზღვის აუზი (28 კანდიდატი — 3 ადგილი), სამხრეთ ამერიკა (9 კანდიდატი — 4 ადგილი), აზია (35 კანდიდატი — 3 ადგილი), ოკეანია (10 კანდიდატი — 1 ადგილი).

ევროპის ზონაში ითამაშებს საქართველოს ნაკრებიც. 12 დეკემბერს პარიზის ლუჟნიკის სასახლეში გაიმართება XVI მსოფლიო ჩემპიონატის საკვალიფიკაციო ჯგუფების წილისყრა, ფინალში გამოვა 32 გუნდი. გადამწყვეტი ეტაპის თამაშები დაიწყება 10 ივნისს, ხოლო მსოფლიო ჩემპიონი გამოვლინდება 12 ივლისს.

„სპორტი ყველასათვის“

ამ დევიზით სოკის პატრონაჟობით მთელ მსოფლიოში ტარდება მასობრივი შეჯიბრებები. თბილისში მოეწყო ღონისძიებები ჭიდაობებში, კინგბოქსინგში, ტაეკვონდოში, კარატეში, კრივში, მაგიდის ჩოგბურთში, მხატვრულ ტანვარჯიშში, პლაჟბურთში, ბაგირის გადაძალვაში, მძლეოსნურ გარბენში. სულ სტარტზე 3500-მდე მონაწილე გამოვიდა. სეოკის ცნობით, ასპარეზობები რესპუბლიკის სხვა ქალაქებშიც ჩატარდა.

საქართველოს ეროვნული ჩემპიონატი ფეხბურთში

XII ტური

„ეგრისი“ — „დურუჯი“ 7-1
„სიონი“ — „გურია“ 3-0
„დინამო“ თბ. — „კახეთი“ 7-1
„სამტრედია“ — „ივერია“ 4-0
„კოლხეთი-1913“ — „შევარდენი-1906“-„ლოკომოტივი“ 5-1
„ტორპედო“ — „მეტალურგი“ 2-0
„დინამო“ (ბათ) — „მარგვეთი“ 3-1
„დინამო“ (ზუგ) — „დილა“ 1-0

კალათბურთი. ვაჟთა V ეროვნული ჩემპიონატი. მ. კეკელიძის სახელობის კალათბურთის დარბაზი. I წრე, I ტური. II ჯგუფი.

სდასუ (საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტი) — „მერანი“ 93:59 (53:22); „შევარდენი“ — სტუ 61:48 (25:26), სდასუ — სტუ 92:55 (48:30); „ვითა“ — „მერანი“ 94:37 (37:15), „ვითა“ — სტუ 100:51 (50:20); სდასუ — „შევარდენი“ 76:47 (36:19), სტუ — „მერანი“ — 86:75 (36:36), „ვითა“ — „შევარდენი“ 119:50 (55:24); „შევარდენი“ — „მერანი“ 68:59 (36:20); „ვითა“ — სდასუ 100:83 (64:38). 8 ქულით ლიდერობს „ვითა“, შემდეგ მოდიან: სდასუ (7), „შევარდენი“ (6), სტუ (5), „მერანი“ (4).

ჩემპიონატი განახლდება 27 ნოემბერს, თერთმეტივე გუნდი გაითამაშებს დასკვნით ტურს, რითაც დამთავრდება პირველი წრე. მეორე წრე 1996 წელს გაიმართება.

ჟუთაისის „აიაქ“ მორაგბეთა ეროვნულ ჩემპიონატში ერთი ტურით ადრე მოიპოვა უძლიერესის სახელი.

ვულოცავთ!

ოთხი მედალი პირველი ჩემპიონატიდან

ორი ვერცხლისა და ამდენივე ბრინჯაოს მედლით დაბრუნდნენ ქართველი ჭაბუკი მოკრივეები თურქეთის ქალაქ ელაზიგიდან, სადაც ისინი მონაწილეობდნენ თანატოლთა (15-16 წლის) ევროპის პირველ ჩემპიონატში.

ჩვენს ნაკრებს პირველი ვერცხლის მედალი მოუტანა მეორე უმჩატესი წონის (51 კგ) ჟუთაისელმა მოკრივემ ავთანდილ კაშიამ, რომელმაც ფინალამდე დაამარცხა მაკედონიელი სტოიანოვი, შემდეგ შოტლანდიელი ლომონდი, ბოლო შეხვედრაში კი მსაჯებმა გამარჯვებულად სცნეს თურქი დინეუოლუ.

ფოთელმა კახაბერ ბებურიამ (67) ჯერ აზერბაიჯანელ ორუსევს სძლია, მერე უკრაინელ ლეონიდ ზადოროჟნის, ფინალში კი მეზენცევთან (რუსეთი) დამარცხდა.

ქუთაისელებმა გოდერძი გამგონიშვილმა (71) და ზაალ ჩეჩელაშვილმა თითო ბრძოლა მოიგეს, ნახევარფინალში კი დამარცხდნენ. გუნდი მომზადეს: საქართველოს დამსახურებულმა მწვრთნელმა როლანდ კვაჭაძემ, თენგიზ გუგაბიძემ. ასპარეზობაზე კი ჩვენს მოკრივეებს სერგო ბერძენიშვილი ხელმძღვანელობდა.

ჩემპიონატის დღეებში ახალგაზრდა ფოთელ მსაჯს ზურაბ ტიბუას მიენიჭა ევროპის ასოციაციის მსაჯის საპატიო წოდება.

ქართველები რვაათასს ზევით

ჰიმალაის მასივზე განლაგებულ რვაათასიანი 14 მწვერვალს შორის ერთ-ერთ ძნელად დასაპყრობად მთამსვლელებს თხუთლაგირი მიაჩნიათ (8.127 მ), რომელზეც მოეწყო პირველი ქართული ექსპედიცია ჰიმალაიში და იგი ბრწყინვალედ დაგვირგვინდა. ასვლას ხელმძღვანელობდა გია თორთლაძე, საიერიშო ჯგუფში იყვნენ: დათო ჩანტლაძე, გელა ოთარაშვილი, ბიძინა გუჯაბიძე, აფი გიგანი, ექიმი ზურაბ ასტანიშვილი.

მწვერვალი დალაშქრეს — გია თორთლაძემ, გელა ოთარაშვილმა, ბიძინა გუჯაბიძემ და აფი გიგანმა.

მილოცვა

საქართველოს რესპუბლიკის სპორტის დეპარტამენტი, ჭიდაობის ფედერაცია და მოჭიდავეთა საზოგადოება „რაინდი“ დაბადებიდან 70 წლისთავს ულოცავენ შესანიშნავ აღმზრდელს, დამსახურებულ მწვრთნელს ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში კარლო ჯოჯუას.

ოლგა კორბუტი:

საქართველოში ცხოვრებაზე ვოცნებობდი

ოლგა კორბუტი. დაიბადა 1955 წლის 16 მაისს გროდნოში (ბელარუსი). 70-იანი წლების პირველი ნახევრის ერთ-ერთი საუკეთესო ტანმოვარჯიშე მსოფლიოში. სპორტის დამსახურებული ოსტატი. 1972 და 76 წლების ოლიმპიური თამაშების ჩემპიონი გუნდურ ჩათვლაში. 1972 წლის ოლიმპიადის ჩემპიონი თავისუფალ ვარჯიშსა და დვირზე. 1974 წლის მსოფლიო ჩემპიონი გუნდურ ჩათვლაში და ბჯენით ხტომებში. პირველად შეასრულა სალტო დვირზე. 1991 წლიდან აშშ-ში ცხოვრობს.

ინტერვიუ, რომელიც ჩამოართვა სახელოვან ტანმოვარჯიშეს ჟურნალისტმა ვლადიმერ პისარევმა დაიბეჭდა გაზეთ „სოვეტსკი სპორტის“ 17 ოქტომბრის ნომერში. გთავაზობთ ერთ ნაწყვეტს ამ საუბრიდან.

● **...როგორ ფიქრობ, რა შეიცვალა ამ ხნის მანძილზე შენში, შენს ხასიათში და რა დაგრჩა ძველებური?**

— ვფიქრობ ძალიან არ შევცვლილვარ, თუმცა ცხოვრებასთან დამოკიდებულება ახლა სხვაგვარად მესმის... შემოსავალი მაქვს იმდენი, რამდენიც მინდა. ეს უდიდესი სიამოვნებაა.

● **– რაში მდგომარეობს შენი ბიზნესი?**

— მე ვარ „ედვაიზერი“, რუსულად — კონსულტანტი. ვმუშაობ ბავშვებთან სპორტულ ბანაკში. ვმოგზაურობ ბევრს.. მაგრამ ეს არ არის არსებობის მთავარი წყარო. გაცილებით მეტს ვიღებ სარეკლამო კონტრაქტებით.

● **თუ არ ვცდები, ტანვარჯიშული სკოლის გახსნასაც აპირებ?**

— და გავაკეთებ კიდეც ამას უეჭველად...

● **თავდაპირველად ნიუ-ჯერსიში ცხოვრობდი, რატომ გადახვედი ატლანტაში?**

— გინდ დამიჯერე, გინდ არა. ჯერ კიდევ საბჭოთა კავშირში ყოფნის დროს საქართველოში ცხოვრებაზე ვოცნებობდი. თბილი კლიმატი, კეთილმოსურნე ხალხი, ხილის ზღვა — ერთი სიტყვით, მიწიერი სამოთხე იყო. ასე რომ, ჯორჯიას შტატი, რომლის დედაქალაქიც ატლანტაა, ჩათვალე, რომ იგივე საქართველოა. ორი წლის წინ აქ ვიყიდეთ სახლი მწვანე ზონაში...

„რა მოხდებოდა ანანდს რომ გაემარჯვა?“

გარი კასპაროვმა ამას წინათ გამარჯვება მოიპოვა (პროფესიული საჭადრაკო ასოციაციის ვერსიით) ვიშვანათან ანანდთან შეხვედრაში. მოგვყავს რამდენიმე ნაწყვეტი მისი ერთერთი ინტერვიუდან.

● **სხვადასხვა განცხადებები და საქმის რეალური ვითარება საგონებელში აგდებენ მოჭადრაკეებსაც და მათ სპონსორებსაც. ჯერ კოლნში უნდა შემდგარიყო თქვენი მატჩი ანანდთან, შემდეგ დორტმუნდში, ბოლოს ნიუ-იორკში. განა ეს თქვენ ნდობას არ გიკარგავთ?**

— დორტმუნდს უარი მატჩის მოწყობაზე გერმანიის საჭადრაკო კავშირმა ათქმევინა, იგი საბოტაჟს უწევს ჩვენს პროფესიულ ასოციაციას. მსოფლიო კონცერნ ინტელს, ჩვენს მთავარ სპონსორს, მატჩის გამართვა სწორედ გერმანიაში უნდოდა. თუ მას სხვაგან გადაიტანენ, გერმანიის საჭადრაკო კავშირმა კარგად იცოდა, რომ ეს ჩემთვის ზურგში მახვილის ჩაცემა იქნებოდა.

● **გაქვთ ამის დამამტკიცებელი საბუთები?**

— მხოლოდ არაპირდაპირი. გერმანელებმა არავითარი დახმარება არ გაგვიწიეს, სპონსორები ვერ აღმოვაჩინეთ და, აი, სწორედ მაშინ მივიღეთ წინადადება ნიუ-იორკიდან. მსოფლიო სავაჭრო ცენტრი დაგვითმეს, რაც იმას ნიშნავს, რომ იჯარის ფულს არ ვიხდით, პოტენციური სპონსორები კი აქ ყველა სართულზეა. თქვენ რა, უარს ეტყოდით?

● **აშშ საჭადრაკო ჭეშმარიტებას არ მიეკუთვნება, ამ თამაშისადმი ინტერესი აქ მხოლოდ 1972 წელს გაღვივდა სპასკი-ფიშერის მეტად პოლიტიზირებულ მატჩთან დაკავშირებით. მაჭრად რა იწვევდა ინტერესს?**

— ორი კულტურის შეპაექრება: ახალგაზრდა მაძიებელი მესამე სამყაროდან მსოფლიო ჩემპიონს ხვდებოდა რუსეთიდან, კოსმოპოლიტს.

● **ამერიკელებს რაიმე შოუ უფრო არ დაინტერესებდათ?**

— ასეთი ტიპის რეკლამისთვის ანანდი მეტად დელიკატური პიროვნებაა. ამჯერად ჩვენ ვაჩვენეთ ჭადრაკის მხოლოდ ერთი მხარე — სპორტული. ეს გახლავთ ერთ-ერთი ყველაზე უფრო სასტიკი მატჩი, რომლის ჩატარებაც მე მხვდა წილად. მატჩი შემდგომი დროისთვის კი მაგალითის მომცემი იქნება. ანანდი მეტისმეტად ძლიერი მოჭადრაკეა, უფრო ძლიერია, ვიდრე კარპოვი, შორტი ან კამსკი. იგი ერთ-ერთია ჯერ კიდევ ამოუცნობი ახალი თაობიდან. გარდა ამისა მან ბრწყინვალე გუნდიც ჩამოაყალიბა.

● **თუ გიფიქრიათ იმაზე, რა დაემართებოდა თქვენს ასოციაციას, ანანდს რომ გაემარჯვა?**

იხ. მე-3 გვ.

ხუან ანტონიო სამარანჩი:

სოკი აქტიურ, მოძრავ ცხოვრებას ეწევა

თავისი 75 წლის მიუხედავად, საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტი ხუან ანტონიო სამარანჩი ბევრს მუშაობს და მოგზაურობს. ასეთია პრეზიდენტის მძიმე ხვედრი: ყველაფერი საკუთარი თვალით უნდა ნახოს, შეამოწმოს, ხალხს დაელაპარაკოს, მიიღოს ამომწურავი ინფორმაცია, გასცეს დივიდენდები და რჩევები. სამარანჩი ხშირად ხვდება ჟურნალისტებს — ესეც მისი ყოველდღიური საქმიანობის ნაწილია, მოემზადოს პრესკონფერენციებისათვის და არც ერთი საკითხი არ დატოვოს უყურადღებოდ.

● **ბატონო პრეზიდენტო! თქვენ ბევრს მოგზაურობთ, ერთთავად თვითმფრინავში ან მატარებელში ხართ. ვინ ხელმძღვანელობს ოლიმპიურ მოძრაობას, როცა ლოზანაში არ იმყოფებით?**

— არა ვარ მე, მაგრამ არიან გენერალური დირექტორი და გენერალური მდივანი. გარდა ამისა, არსებობს კავშირგაბმულობის თანამედროვე საშუალებები — ტელექსი, ფაქსი, ტელეფონი. ასე რომ, თამამად შემიძლია ვთქვა: მუდამ კაბინეტში ვზივარ.

● **საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის ფუნქციონალურ მოდელს სპეციალისტები იდეალურად მიიჩნევენ. როგორ გავიგოთ ეს?**

— სოკი აქტიურ და მოძრავ ცხოვრებას ეწევა. ეს მისი პრეროგატივა გახლავთ. პირველ ყოვლისა, შემიძლია დიგისახელოთ ჩვენი მიმოწერის მასშტაბები. იგი, ფაქტობრივად, მთელს სამყაროს მოიცავს. ჩვენ, უფრო სწორად, რომელიმე ჩვენგანი, უსათუოდ ესწრება სპორტულ შეჯიბრებას. ხოგჯერ ვიღებთ გადაწყვეტილებებს, რომლებიც არაფრით ჩამოუვარდება პოლიტიკურს: ვთქვათ, ტაივანის, სამრეთ აფრიკის რესპუბლიკის ან ბალტიისპირეთის, ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკების შესახებ.

იხ. მე-2 გვ.

ქვეყანა ელის ახალ პარლამენტს

რეფორმატორები და სპორტსმენთა კავშირი — ერთ ბლოკში!

5 ნოემბერს, ჩვენი ქვეყანა, კიდევ ერთი არჩევანის წინაშე დადგება. ვინ ჩაიბარებს ქვეყანას, როგორი იქნება დედასამშობლოს ხვალინდელი დღე, საით წავა საქართველო? ამ კითხვებზე პასუხი ჩვენმა ხალხმა, მისმა სიბრძნემ და პატრიოტიზმმა უნდა გასცეს. ამ არჩევნებში, დეპუტატების კანდიდატთა შორის, როგორც არასდროს, სოლიდურადაა წარმოდგენილი ჩვენი სპორტული მოძრაობა. სპორტსმენთა კავშირი კი ბლოკში — „რეფორმატორთა კავშირი — ეროვნული თანხმობა“ გაერთიანდა. სასიამოვნოა, რომ ამ ბლოკის პარტიული სიით №1 კანდიდატად წარმოდგენილია ჩვენი სასიქადულო მამულიშვილი, ქალბატონი ნონა გაფრინდაშვილი. სულ კი 118 კანდიდატიდან 15 სპორტსმენთა კავშირის წევრია. წარმოგიდგენთ რამდენიმე მათგანს: ვ. შუბლაძე (სიით №3), თ. ხუბულური (№6), ე. მაჩაიძე (№10), თ. მაჭავარიანი (№13), ნ. მოდებაძე (№16), მ. მაჩაიძე (№20), შ. ხაზარელი (№24), თ. აფხაზავა (№29), თ. ყაზარაშვილი (№76), რ. აბაშიძე (№90), რ. რურუა (№103), თ. იმნაიშვილი (№107).

ზემოაღნიშნულთაგან, ზოგიერთი მაჟორიტარული წესით არჩევნებშიც იყრის კენჭს. წარმატებებს ვუსურვებთ!

„სახელმწიფოებრივ-სამართლებრივი გაერთიანება“ №44

გაერთიანების თავმჯდომარეა შალვა ნათელაშვილი

თბილისის ვაკის რ-ის №2 საარჩევნო ოლქის დეპუტატობის კანდიდატი

შოთა მიხეილის ძე ქველიაშვილი

ბიოგრაფიიდან: დაიბადა თბილისში, 1938 წელს. წარჩინებით დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი. „სახელმწიფოებრივ-სამართლებრივი გაერთიანების“ წევრი. იყო ცხინვალის რაიონის, შემდეგ რესპუბლიკის პროკურორის თანაშემწე, თბილისის საქალაქო საბჭოს განყოფილების გამგე. 1974 წლიდან სპორტულ ორგანიზაციებშია. მუშაობდა თბილისის სპორტკომიტეტის თავმჯდომარედ. საქართველოს სპორტკომიტეტის თავმჯდომარის მოადგილედ, ამჟამად ფიზაღზრდისა და სპორტის აკადემიის კათედრის გამგეა. არის სამეცნიერო-პედაგოგიური ნაშრომების ავტორი.

შ. ქველიაშვილი მსოფლიოში დიდხანს ითვლებოდა ერთ-ერთ უძლიერეს სპორტსმენად ტყვიის სროლაში. ოლიმპიურ თამაშებში (1964) ვერცხლის მედალი მოიპოვა. გახდა მსოფლიო ჩემპიონი, დაამყარა 6 მსოფლიო რეკორდი, 3-ჯერ ევროპის, 4-ჯერ სსრ კავშირის ჩემპიონი იყო. არის სპორტის დამსახურებული ოსტატი. 1982 წლიდან ტყვიის სროლაში მსოფლიო ფედერაციის უცვლელი წევრია, კარგად ფლობს რუსულ, თურქულ და აზერბაიჯანულ ენებს, საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის შექმნიდან არის მისი წევრი.

მეუღლე ნ. ჩიხორია თბილისის სახელმწიფო სამედიცინო აკადემიის დოცენტია, შვილი გ. ქველიაშვილი ექიმია, ქირურგი.

● **ბატონო შოთა, როგორია არჩევნებში თქვენი მონაწილეობის მოტივი?**

— პასუხისთვის უმჯობესია ჩემი წინასაარჩევნო პროგრამა მოვიშველიო. მიმაჩნია, რომ ქვეყნის პარლამენტში უნდა მოვიდნენ პროფესიონალები, პირველ ყოვლისა, იურისტები. მთავარი კი მოსახლეობის სოციალური დაცვისა და საზოგადოებრივი მართლწესრიგის განმტკიცებაა.

● **თქვენ გიცნობენ როგორც პრინციპულ, მოუსყიდავ და პირდაპირ მთქმელ ადამიანს, ხომ არ შეუშლის ასეთი პიროვნული თვისებები ხელს, ჯერ დეპუტატობის კანდიდატს, შემდეგ პარლამენტარს?**

— პრინციპებს და ცხოვრების წესს ვერ შევიცვლი. ისეთები, რაც თქვენ ბრძანეთ, რაც მეტი იქნება, მით უკეთესი.

● **როგორც დეპუტატი, პარლამენტში, პირველ ყოვლისა, რა საკითხს დააყენებდით?**

— მთავარია, უმოკლეს ვადებში დასრულდეს ბრძოლა კორუფციასთან და ორგანიზებულ დამნაშავეობასთან, პირველსავე გამოსვლაში მოვითხოვდი გაუქმდეს დეპუტატთა იმუნიტეტი, წესრიგი და კანონიერება ყველამ საკუთარი თავიდან უნდა დაიწყოს.

● **თქვენ ერთი იმათთაგანი ბრძანდებით, ვისაც ჩინებულად ესმის ერის ფიზიკური ჯანმრთელობის, განსაკუთრებით ახალგაზრდა თაობის აღზრდაში ფიზიკური კულტურის, სპორტის მნიშვნელობა. დღეს, სამწუხაროდ, ყოველივე ეს საერთო სოციალურ-ეკონომიკურ ფონზე სავალალოდ გამოიყურება...**

— დიახ, მთავარია ამაღლდეს ხალხისა და ქვეყნის კეთილდღეობა, საერთოდ, ჯანმრთელობის სისტემის რეფორმაში აუცილებელია მოსახლეობის ყველა ფენის ინტერესების გათვალისწინება, რაც, ჩემს პროგრამაში, წინა პლანზეა წამოწეული.

● **თქვენს პროგრამაში ყურადღებას იქცევს აგრეთვე მოსახლეობის ინტელექტუალური დონის ამაღლება...**

— შეუნელებელი ზრუნვაა საჭირო განათლების, კულტურისა და ხელოვნების, აქაც ვიტყვი, სპორტის ხელშეწყობისათვის, რათა ამ დარგებმა განვითარების მაღალ დონეს მიაღწიოს.

● **საინტერესოა, თქვენი, როგორც იურისტის აზრი, კერძო საკუთრებასთან დაკავშირებით.**

— ეს აუცილებელია, მაგრამ საშურია კერძო საკუთრების, განსაკუთრებით მიწაზე საკუთრების კანონმდებლობის შემუშავება.

● **როგორია ცივილიზებულ სამყაროში ჩვენი ქვეყნის ინტეგრაციის თქვენეული კონცეფცია?**

— ჩვენი ისტორიული წარსული, გნებავთ აწმყო, გნებავთ მომავალი, თავისთავად მოითხოვს ღირსეული ადგილი დავიკავოთ ცივილიზებულ სამყაროში. პირველი ნაბიჯები გადადგმულია. კაცობრიობის ცივილიზაციის საფუძველი რელიგიაა. ამიტომ გვმართებს მეტი ყურადღება რელიგიისადმი, განსაკუთრებით სკოლამდელ, სასკოლო და უფრო ზემდგომ სასწავლო დაწესებულებებში.

● **სხვას რას გამოყოფდით თქვენი წინასაარჩევნო პროგრამიდან?**

— ესაა საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა, თავდაცვითუნარიანობის განმტკიცება, ქვეყნის ეკონომიკური აღორძინება, თავისუფალი მეწარმეობის განვითარება, კომპეტენტური კადრებით ეკონომიკური რგოლების უზრუნველყოფა, ადამიანის უფლებათა დაცვა და ა.შ.

● **წარმატებას გისურვებთ, ამომრჩევლებს კი მოვუწოდებთ ხმა მისცენ.**

შოთა მიხეილის ძე ქველიაშვილს 36

თ. თომაშვილი

რა ხდება ქვეყანაზე

გერმანელმა ავტომობილისტმა მიჰაელ შუმახერმა („ბენეტონ-რენო“) „ფორმულა-1-ის“ მეთხუთმეტე ეტაპზე გამარჯვებით („გრან პრი — პასიფიკი“. აიდა, იაპონია) გაინაღდა პირველი ადგილი ამ პრესტიჟულ შეჯიბრებაში და მეორედ მოიპოვა მსოფლიო ჩემპიონის ტიტული. მეთხუთმეტე ეტაპის შემდეგ პრიზიორთა სამეული პირად ჩათვლაში გამოიყურება ასე: 1. მიჰაელ შუმახერი — 92 ქულა, 2. დემონ ჰილი (დიდი ბრიტანეთი, „უილიამს-რენო“) — 59 ქულა, 3. დევიდ კულტჰარდი (დიდი ბრიტანეთი, „უილიამს-რენო“) — 49 ქულა. კონსტრუქტორთა თასის გათამაშებაში ლიდერები არიან: „ბენეტონი“ — 123 ქულა, „უილიამსი“ — 102 ქულა, „ფერარი“ — 73 ქულა.

„ტურ ლომბარდიის“ თასით დამთავრდა მსოფლიო თასის გათამაშება პროფესიონალ ველოსიპედისტთა შორის. პირველი სამეული: 1. იოჰან მიუზეუვი (ბელგია, „მაპეი-ჯიბი“) — 199 ქულა. 2. ანდრეი ჩმილი (უკრაინა, „ლოტო“) — 114 ქულა, 3. მიკელე ბარტოლი (იტალია, „მერკატონე უნო“) — 100 ქულა.

მეშვიდედ გათამაშდა (ამჯერად ინგლისში) კალათბურთელთა პოპულარული ტურნირი „მაკდონალდსი“ და შვიდივე შეჯიბრება ნბა-ს გუნდებმა მოიგო (თანმიმდევრულად: „მილუოკი“, „ბოსტონი“, „დენვერი“, „ნიუ-იორკი“, „ლეიკერსი“, „ფინიკსი“ და „ჰიუსტონ როკიტსი“). ბოლო ასპარეზობის ფინალში „ჰიუსტონმა“ დაამარცხა იტალიის ჩემპიონი „ბაკლერი“ 126:112. საუკეთესო მოთამაშის პრიზი მიიღო კლაიდ დრექსლერმა („ჰიუსტონი“).

ეს მართლაც სენსაციაა, ჩინეთის ქალაქების მძლეოსანთა ტრადიციულ შეჯიბრებაში 15 წლის ცზიან პომ ყველას აჯობა 5 კილომეტრზე რბენაში (მათ შორის მსოფლიოს ექსჩემპიონსა და მსოფლიოს ორგზის რეკორდსმენს მა ცზიუნჩჟენს) და აზიის ქალთა ახალი რეკორდი დაამყარა — 14.45,90. აზიის რეკორდი გაუმჯობესდა ჭოკით ხტომის სექტორშიც ქალთა შორის. 21 წლის სუნ ცაიუნმა 418 სმ. დაძლია.

დიდი ბრიტანეთის სპორტის მინისტრის იან სპროუტის განცხადებით ყველაზე სახიფათო სპორტი ავტომობილიზმია. ბოლო ხუთი წლის მანძილზე ბრიტანეთის გზებზე 72 ინგლისელი სპორტსმენი დაიღუპა. ეს ცნობები მინისტრმა წარუდგინა პარლამენტს, რომელიც მოკრივე ჯეიმს მიურეის რინგზე სიკვდილის ფაქტს განიხილავდა. სპროუტმა აღნიშნა, ამავე დროს, რომ 1986-91 წლების პერიოდში დიდ ბრიტანეთში დაიღუპა 59 ალპინისტი, 29 ცხენოსანი და მხოლოდ 3 მოკრივე.

ნორვეგიის ერთ-ერთ საუკეთესო მოციგურეს, 23 წლის სტეინარ იუჰანსენს დაეჯახა სატვირთო მანქანა. დაცემის დროს სპორტსმენმა დაიზიანა ხელი და მხარი. ექიმების აზრით, ციგურებით სრიალს, შესაბამისი მკურნალობის შემდეგ იგი შესძლებს, მაგრამ დაზიანებული ხელის ფუნქციონირების სრული აღდგენა საეჭვოა.

სოკი აქტიურ, მოძრავ ცხოვრებას ეწევა

(პირველი გვერდიდან)

● **ყველაფერ ამას, ალბათ, ბევრი და რაც მთავარია, კვალიფიციური ხალხი სჭირდება?**

— საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის აპარატი, ერთობ მცირეა და ეს გახლავთ მისი ერთ-ერთი თავისებურება. სოკის შტატში 60 კაცია. ამას გარდა, თექვსმეტი თანამშრომელი ემსახურება ოლიმპიურ მუზეუმს და ოთხი — „ოლიმპიურ სოლიდარობას“. ე. ი. სოკის საქმიანობას განსაზღვრავს 80 ახალგაზრდა, კარგად მომზადებული და ერთგული ადამიანის ენთუზიაზმი.

● **როგორ ფიქრობთ, ეფექტურია თუ არა, თქვენთან მუშაობა?**

— ამაზე პასუხი სხვებმა უნდა გაგცენ. ისე კი, გეტყვით, რომ მიყვარს გუნდთან მჭიდრო კონტაქტში მუშაობა. ამ გუნდს დიდი სასოებითა და რუდუნებით ვადგენ, ვარჩევ შრომისმოყვარე და პასუხისმგებლობის მქონე ხალხს. ჩვენს შეთანხმებულ მუშაობაში დიდი მნიშვნელობა აქვს აზრის პატივისცემას. ხშირად ვადარებ თავს იმ დირიჟორს, რომელსაც ორკესტრში მხოლოდ ვირტუოზები ჰყავს.

● **თქვენი ვაჟი მამის კვალს გაჰყვება?**

ჩემი ვაჟი ესპანეთის ოლიმპიური კომიტეტის წევრია და დიდი გატაცებით მუშაობს თანამედროვე ხუთჭიდის საერთაშორისო ფედერაციაში. მეგობრობს ტრიატლონისტებთან. რა გამოვა აქედან, ვნახოთ.

● **ხშირად თუ ნახულობთ შვილიშვილებს?**

— სამწუხაროდ, ძალზე იშვიათად. მაგრამ ამ პრობლემის გამოსწორება შეიძლება.

● **ბოლო დროს საერთაშორისო ფედერაციების ხელმძღვანელები ხშირად აცხადებენ, რომ მათთვის მთავარია მსოფლიო ჩემპიონატები. ოლიმპიურ თამაშებს ისინი მეორეხარისხოვან როლს აკუთვნებენ. რას ფიქრობთ ამის თაობაზე?**

— ასეთი რამ არასდროს მსმენია არც ოფიციალურად და არც შინაურ კულუარებში. ისე კი, მუდამ მახარებდა ამა თუ იმ მსოფლიო ჩემპიონატის წარმატება. ეს ხომ სპორტისა და მაშასადამე, ოლიმპიური მოძრაობის გამარჯვებას ნიშნავს? მე მაგალითად, დიდი ხალისითა და სიამოვნებით ვესწრები მძლეოსანთა მსოფლიო ჩემპიონატებს და ვფიქრობ, ჩემი დამოკიდებულება ამ ტურნირებისადმი ერთხელ კიდევ უსვამს ხაზს სოკისა და იააფის ხელმძღვანელთა ურთიერთ კეთილგანწყობას.

● **სწორედ იააფი-ს პრეზიდენტი პრიმო ნებიოლო ლაპარაკობს პრიორიტეტზე, რომლითაც უნდა სარგებლობდეს მძლეოსნობა. სხვათა შორის, ამ პრიორიტეტის რეალიზაციად მიიჩნევენ იააფში იმას, რომ მსოფლიო ჩემპიონატები ამ სახეობაში უკვე ყოველ ორ წელიწადში ერთელ იმართება.**

— პრიმო ნებიოლოსთან დიდი ხნის მეგობრობა მაკავშირებს. კარგად ვიცნობ ამ პიროვნებას. ვიცი ისიც, რომ მუდამ ფრთხილად და დაფიქრებულად საუბრობს. ამიტომ, შესაძლოა მისი ნათქვამი ვიღაცამ არასწორად გაიგო. ისე კი მძლეოსანთა მსოფლიო ჩემპიონატების ორწლიან ციკლს, თავის დროზე გულწრფელად მივესალმე. ეს კი არა, სპორტის ბევრ სახეობაში მსოფლიო ჩემპიონატი ყოველწლიურად ტარდება — ოლიმპიადის წელსაც, მაგრამ, ამის გამო, საყვედური არავის გამოუთქვამს.

● **რას ფიქრობთ კეთილი ნების თამაშებზე?**

— კარგად არ მესმის ამ თამაშების მნიშვნელობა. თავდაპირველად მას „კეთილი ნების სტარტების“ მნიშვნელობა ჰქონდა და გამოხატავდა პოზიტიურ დამოკიდებულებას სსრ კავშირსა და აშშ-ს შორის. ეს გასაგები იყო. მე, სხვათა შორის, დავესწარი ამ თამაშების მოსკოვის დებიუტს 1986 წელს. მაგრამ, სულ მალე „ცივი ომი“ დამთავრდა და კეთილი ნების თამაშების იდეამაც დაკარგა მნიშვნელობა. ამ თამაშების მომავალი, ჩემთვის, ცოტათი გაუგებარია. როგორც ჩანს, იგი თანდათან ჩვეულებრივ კომპლექსურ შეჯიბრებად იქცა. ბოლო დროს დავამყარე საქმიანი კონტაქტი კეთილი ნების თამაშების ინიციატორებთან, ერთად ვიხილავთ რამდენსამე ოლიმპიურ პროექტს. აი ეს საქმეა...

● **როგორ ხასიათს მიიღებს ოლიმპიური მოძრაობა XXI საუკუნეში?**

— ძნელი სათქმელია, თუმცა... ობიექტურად, ბევრი არაფერი უნდა შეიცვალოს.

სტრესი და ჩვენ!

თქვენი თითები და ხელის გული — თქვენი მკურნალი!

იშვიათად შეხვდებით ადამიანს, რომელმაც არ იცის რა არის სტრესი — ორგანიზმზე პათოლოგიური ან საგანგებო გამღიზიანებლების ზემოქმედებით გამოწვეული მდგომარეობა. ზოგჯერ სტრესიდან გამოსვლა იმდენად რთულია, რომ ექიმს მოვმართავთ ხოლმე.

ალბათ, სტრესულ სიტუაციაში ყოფილან ჩვენი შორეული წინაპრებიც. სხვაგვარად როგორ ავხსნათ, რომ ძველ სწავლულებს, გამოუნახავთ საშუალება, თავის დასამშვიდებლად, უსიამოვნო ფსიქოემოციური სტრესის მოსახსნელად.

ამ საშუალებათაგანია ჩვენამდე მოღწეული ინდური, ჩინური, კორეული მეთოდი — ხელის მტევნების კანქვეშა ექსოგენურ ზონებზე ზემოქმედება. ბევრმა, ალბათ არ იცის, რომ ხელის მტევნებზე თავმოყრილი აკუპუნქტურული ზონები, რომლებზეც პროეცირებულია ადამიანის ყველა ორგანო, არაფრით ჩამოუვარდება ყურისა და ფეხის ტერფს.

გერმანელი ფილოსოფოსი კანტი ამბობდა: „ხელი, გარეთ გამოსული თავის ტვინია“.

თანამედროვე ფიზიოლოგთა გამოკვლევის შედეგად დადგინდა, რომ ტვინის დიდი ნახევარსფეროები მჭიდროდაა დაკავშირებული ხელის მტევნებში არსებული ნერვების დაბოლოებებთან. ამ ფაქტს ისიც ადასტურებს, რომ კუნთების დაღლა იწვევს ცენტრალური ნერვული სისტემის დამუხრუჭებას, რაც არაერთ სპორტსმენს საკუთარ თავზე გამოუცდია.



1

2

აღმოსავლური მეცნიერების მტკიცებით, ხელის ყოველი თითი რეფლექტორულად უკავშირდება გარკვეულ ორგანოს. მაგალითად, იაპონელ სწავლულ ნ. ტოკუხიროს მიაჩნია, რომ ცერის მასაჟი ზრდის თავის ტვინის ფუნქციას, საჩვენებელი თითისა დადებითად მოქმედებს კუჭზე, შუა თითის ნაწლავებზე, არათითის ღვიძლზე, ნეკის გულზე.

შია-ცუს (წერტილოვანი მასაჟის ნაირსახეობა) სპეციალისტები აღნიშნავენ, რომ გულით ავადმყოფებს სუსტი ნეკი, განსაკუთრებით მარცხენა, აქვთ. ამ შემთხვევაში რეფლექტორული მასაჟით მისი გამაგრება გარკვეულწილად კურნავს გულს. ამასთან, ისინი ამტკიცებენ, რომ ნეკის აქტიური მასაჟი ხელს უწყობს ფსიქიური დაძაბულობისა და ნერვული გადაღლილობის მოხსნას.

ჩინეთში ცნობილია ხელის გულის მასაჟი ქვის, ან ლითონის ბურთულებით, იაპონელმა სპეციალისტმა ი. ცუცუმმა კი შეიმუშავა ხელის გულის რეფლექტორული ზონის კაკლით მასაჟი. ამისათვის იყენებენ ექვსწახნაგა ფანქარსაც. მტევნის მასაჟი 5-10 წუთზე მეტხანს არ უნდა გაგრძელდეს. შეგიძლიათ დღეში 3-4 სეანსი ჩაიტაროთ, სამუშაო მაგიდასთან. დაუყოვნებლივ მიმართეთ ასეთ მასაჟს მაშინაც თუ რაღაცამ აგაღელვათ. მექანიკურ მოქმედებაზე (ხელის გულის კაკლის ან ფანქრის სრესა) დაგამშვიდებთ. საყოველთაოდ ცნობილია, რომ ქალები აღელვებისთანავე იწყებენ სარეცხს, სახლის დალაგებას ან ჭურჭლის რეცხვას. ნერვული დაძაბულობის დროს ყურადღების გადატანა მექანიკურ სამუშაოზე ხსნის ყოველგვარ სტრესს. ეს ნათლად დაამტკიცა ერთ-ერთ ლაბორატორიაში ჩატარებულმა საინტერესო ექსპერიმენტმა. სპეციალური მეთოდით სტრესამდე მიჰყავდათ საცდელი თაგვები — გადარჩნენ ისინი, რომლებიც ... საკუთარი ბეწვის წმენდაზე გადაერთვნენ. ეს მაგალითი ნათლად მეტყველებს მასაჟის სარგებლობაზე.

მაშ შევუდგეთ: **მტევნის მასაჟი — პირველი მეთოდი.** აიღეთ კაკალი და ხელის გულებს შუა ამოძრავეთ წრიულად. ზეწოლა თანდათანობით გაზარდეთ (ფოტო 1). განსაკუთრებით დაატანეთ ძალა ხელის გულის მტკივნეულ ადგილს. დრო: 1-3 წუთი.

ორი კაკლითაც შეიძლება მასაჟი (ფოტო 2). აიღეთ ორი თანაბარი ზომის კაკალი. ნელა შეუდექით წრიულ მოძრაობებს, ერთმანეთზე გადაატარეთ კაკლები ან ერთ სიბრტყეზე ატრიალეთ: მარჯვენა — ხელის გული საათის ისრის მიმართულებით, მარცხენა — საწინააღმდეგოდ. დრო: 3-5 წუთი. კაკლები შეგიძლიათ მაგიდის ჩოგბურთის ბურთით შეცვალოთ.

მეორე მეთოდი. აიღეთ ექვსწახნაგა ფანქარი. ატრიალეთ თანდათანობით ძალდატანებით, სითბოს შეგრძნებამდე. დრო: 1-2 წუთი.

ამის შემდეგ მარჯვენა მტევნით ხელის გულით გადაატარეთ ფანქარი მარცხენა ხელის მტევანზე (ხელის გულზე არა) სითბოს შეგრძნებამდე (ფოტო 3). დრო: 1-2 წუთი შემდეგ იგივე გაიმეორეთ მარცხენა ხელით.

შეიძლება, აიღოთ ფანქარი მარჯვენა ხელში, ატრიალოთ იგი თითებში, გაიმეორეთ იგივე — მარცხენაში. დრო: 2-3 წ. აიღეთ ფანქარი მარჯვენით, გაუთლელი ბოლოთი დააწექით მარცხენის მტკივან წერტილებს. ატრიალეთ 1-2 წუთის განმავლობაში (ფოტო 4). შემდეგ იგივე გაიმეორეთ მარცხენათი. თითოეულ მტკივნეულ წერტილზე დაწოლით, 30-40 წამის განმავლობაში არასრული წრე მოხაზეთ.



3



4

მასაჟის დამთავრების შემდეგ, მარჯვენათი მარცხენა ხელის თითოეული თითი (შემდეგ პირიქით). მოძრაობა ჯერ თითის გასწვრივ, შემდეგ — გარდი-გარდმო. დრო 2-3 წუთი თითოეულ ხელზე.



ჯორდანი

ნბა: ისტორია ციფრებში

ნბა-ში არაფერი იკარგება უკვალოდ. კალათბურთელთა ყველა შედეგი, ყველა მაჩვენებელი გულმოდგინედ აღინუსხება კომპიუტერის მეხსიერებაში და ისტორიის კუთვნილება ხდება. მერე კი, საჭიროების შემთხვევაში, წლობით დაგროვილ ცოდნას სპეციალისტები იყენებენ ანალიზისთვის, შედარებისა და დაპირისპირებისთვის. დღეს ნბა-ს მორიგი რეგულარული ჩემპიონატის დაწყებასთან დაკავშირებით გთავაზობთ (სტარტი — 3 ნოემბერსაა) ყველა დროის საუკეთესო კალათბურთელთა შედეგებს სხვადასხვა ნომინაციებში.

სნაიპერები

	სეზ.	თამ.	ქ.
1. ქარიმ აბდულ-ჯაბარი	20	1560	38387
2. უილტ ჩემბერლენი	14	1045	31419
3. მოზეს მელოუნი	19	1329	27409
4. ელვინ ჰეიესი	16	1303	27313
5. ოსკარ რობერტსონი	14	1040	26710
6. ჯონ ჰავლიჩეკი	16	1270	26395
7. ალექს ინგლიში	15	1193	25613
8. დომინიკ უილკინსი	13	984	25389
9. ჯერი უესტი	14	932	25192
10. ადრიან დანტლი	15	955	23177

ახალ სეზონში მოსალოდნელია გარკვეული პერეტრუბაციები. დომინიკ უილკინსს, თუ მოაგვარებს იგი თავის ფინანსურ მდგომარეობას, შეუძლია რამდენიმე საფეხურით დაწინაურდეს, ათეულში შესვლა შეუძლია მაიკლ ჯორდანსაც, რომელიც ჯერჯერობით მეცამეტე ადგილზე იმყოფება (სეზონი - 10, თამაში - 684, ქულა - 21998).

საშუალო შედეგი

1. მაიკლ ჯორდანი	32,2
2. უილტ ჩემბერლენი	30,1
3. ელჯინ ბაილორი	27,4
11. ქარიმ აბდულ-ჯაბარი	24,6

მაიკლ ჯორდანი, როგორც ჩანს, დიდხანს კონკურენციის გარეშე იქნება, ვინაიდან დღეს მოქმედ კალათბურთელთაგან საუკეთესოებს — შაკილ ო'ნილსა და ხაკიმ ოლაჯიუვონს ეს მაჩვენებელი გაცილებით უფრო დაბალი აქვთ: პირველს - 27,3, მეორეს - 24,0.

ფარიდან ბურთის მოხსნა

1. უილტ ჩემბერლენი	23924
2. ბილ რასელი	21620
3. ქარიმ აბდულ-ჯაბარი	17440

მოზეს მელოუნი და რობერტ პერიში, ფაქტობრივად, უკვე ამთავრებენ კარიერას, ამიტომ ისინი კონკურენციას ვერ გაუწევენ ლიდერებს (მელოუნი მეხუთე ადგილზეა შედეგით - 16212, პერიში კი მეშვიდეზე - 14323).

გადაცემები

1. ჯონ სტოკტონი	10394
2. მეჯიკ ჯონსონი	9921
3. ოსკარ რობერტსონი	9887

შარშან თებერვალში სტოკტონმა ჩამოართვა პირველობა მეჯიკ ჯონსონს, რომელიც ამ ბრძოლას თავისი ავადმყოფობის გამო უკვე გამოეთიშა.

ბურთის ჩაჭრა

1. მორის ჩიკსი	2310
2. ჯონ სტოკტონი	2225
3. ელვინ რობერტსონი	1946

სტოკტონი, როგორც ჩანს, აქაც გაართმევს თავს მთავარ ამოცანას, ვინაიდან გასულ სეზონში მან 194-ჯერ ჩაჭრა მეტოქეთა გადაცემები, არადა, ჩიკს იგი სულ რაღაც 85 ერთეულით ჩამორჩება.

ბლოკ-შოტი

1. ქარიმ აბდულ-ჯაბარი	3189
2. მარკ იტონი	3064
3. ხაკიმ ოლაჯიუვონი	2748

ოლაჯიუვონი

ხაკიმ ოლაჯიუვონი, ისევე როგორც პატრიკ იუინგი (მეექვსე ადგილი — 2143) ვალდებულნიც კი არიან გადაფარონ აბდულ-ჯაბარის მაჩვენებელი, ვინაიდან აბდულ-ჯაბარს ეს შედეგი ნაჩვენები აქვს 20 სეზონში, ოლაჯიუვონს — 11-ში, იუინგს კი მხოლოდ 10-ში.

ბურთის თამაშიდან ჩაგდება

1. ქარიმ აბდულ ჯაბარი	15837
2. უილტ ჩემბერლენი	12681
3. ჯულიუს ირვინგი	11818

თანამედროვე კალათბურთელთაგან ათეულშია მხოლოდ დომენიკ უილკინსი (X ადგილი — 9516). ეს იმით არის გამოწვეული, რომ ნბა-ს კლუბები დღესდღეობით მეტ ყურადღებას აქცევენ დაცვას და სნაიპერთა თავისუფლება შესამჩნევად შეიზღუდა.

სამჯულიანი ტყორცნები

1. დეილ ელისი	1119
2. რეჯი მილერი	1035
3. დენი ეინჯი	1002

აქ ძველი თაობის კალათბურთელებზე ვერაფერს ვიტყვით, ვინაიდან სამქულიანი სროლის ზონა ნბა-ში პირველად 1979-80 წლების სეზონში შემოიღეს. ასე რომ, 3-ქულიანი სროლების ბუმით დღევანდელი კალათბურთი ხასიათდება.

საჯარიმო სროლები

1. მოზეს მელოუნი	8531
2. ოსკარ რობერტსონი	7694
3. ჯერი უესტი	7160

მოზეს მელოუნს თუ არ ჩავთვლით, ამ ნომინაციაში აშკარად დომინირებენ ძველი თაობის წარმომადგენლები, თუმცა ისიც უნდა ითქვას, რომ საჯარიმო სროლების პროცენტული რეალიზაციით პირველ ადგილზეა მარკ პრაისი — 90,6 პროცენტი.



ფოტოზე მარჯვნივ — ჯაბარი.

ვინ რამდენი ითამაშა?

1. ქარიმ აბდულ-ჯაბარი	1560
2. რობერტ პერიში	1494
3. მოზეს მელოუნი	1455

პერიშს შეუძლია ჩამოართვას პირველობა აბდულ-ჯაბარს. შარშან, მაგალითად, 82 შეხვედრიდან მან მხოლოდ ერთი თამაში გამოტოვა. ახალ სეზონში პერიშმა 67 მატჩი უნდა ჩაატაროს და... ლიდერიც გახდება.

ვინ რამდენი წუთი?

1. ქარიმ აბდულ-ჯაბარი	57.446
2. ელვინ ჰეიესი	50.000
3. მოზეს მელოუნი	49.444

ჯაბარის ეს რეკორდი, ალბათ, დიდხანს არ დაემხობა. ყოველ შემთხვევაში პერიშის შედეგია 44212 (VIII ადგილი), დენ ისელის კი 41796 (X ადგილი).

„რა მოხდებოდა ანანდს რომ გაემარჯვა?“

(პირველი გვერდიდან).

— ბევრს მიაჩნია, რომ დადგა ახალგაზრდის გამარჯვების დრო. მაგრამ ამ შემთხვევაში ჩვენი ასოციაცია არსებობას შეწყვეტდა. ჩემს გარდა ამ ასოციაციისათვის ფულს ვერავინ იშოვის, ამიტომაც ვალდებულად მიმაჩნდა თავი მომეგო მატჩი, რათა ჰადრაკი კვლავ პროფესიული იყოს.

● სინამდვილეში გინდათ თქვენი ასოციაციის ფიდესთან გაერთიანება ისე, რომ ჩემპიონობა შეინარჩუნოთ. მაშინ ახალი მატჩი ფიდეს ვერსიით მსოფლიო ჩემპიონთან კიდევ რამდენიმე მილიონ დოლარს მოგატანდათ.

— თუ ასე მოხდა, ძალიან კარგი იქნება.

● მაშინ ვინ იქნება თქვენი მოწინააღმდეგე, ასე ვთქვათ, ფიდეს ფრონტიდან?

— ვშიშობ, რომ ეს კვლავ კარპოვი იქნება.

● შეიძლება თუ არა თქვენი ასოციაციისა და ფიდეს გაერთიანება?

— სავსებით შესაძლებელია. შეგვეძლება არსებობა, მეტს გავაკეთებდით, თუკი ჩვენს შორის მშვიდობა დამყარდებოდა. შეიძლება ორ ორგანიზაციადაც დავრჩეთ, ოღონდ ერთი ჩემპიონი უნდა გვყავდეს.

● მაგრამ ამ შემთხვევაში თქვენ ძალაუფლებას შეინარჩუნებთ, ვინაიდან, როგორც იტყვიან, „ფულის ტომარაზე“ ზიხართ. რომდემდე შეიძლება გაგრძელდეს ასეთი სიტუაცია?

— მე უფრო მომთმენი და მშვიდობისმოყვარე გავხდი. 10 წელი ბრძოლას შევალიე, — პირად ცხოვრებაში, ჰადრაკში, პოლიტიკაში. ბრძოლა სიამოვნებას მგვრიდა, მაგრამ ახლა ყველაფერი ეს უკვე განვლილი ეტაპია,

● არის ძლიერი ეჭვები: ფრონტები ისეთივე დარჩა, როგორც 10 წლის წინათ — თქვენ, კარპოვი, კამპომანესი. კარპოვმა კომუნიზმის დროს ერთი რამ ისწავლა, როგორ დაუფლებოდა ძალაუფლებას. ამას წინათ ვნახე მისი გვარი კომუნისტ კანდიდატებს შორის, სადაც უველა „ძველმა“ კადრმა მოიყარა თავი.

— კარპოვი შინაური კაცია კომუნისტებს შორის. რაც შეეხება კამპომანესს, მისი „ჩაძირვა“ მეტისმეტად ძნელია, შშვენივრად გრძნობს, საიდან ქრის ქარი.

● ეს თქვენს შესახებაც შეიძლება ითქვას.

— არა, საქმე მთლად ასე არ არის. თუკი დეკემბრის არჩევნების შემდეგ კარპოვი და მისი მეგობრები პარლამენტში ძალაუფლებას დაეუფლებიან, რუსეთში ჩემი ადგილი უკვე აღარ იქნება.

● თქვენი მეგობრობა ადვოკატ ანდრეი მაკაროვთან, რომელიც თქვენი შემწეობით რუსეთის საჭადრაკო ფედერაციის პრეზიდენტი გახდა, ცოტა არ იყოს, საეჭვოა. მაკაროვი ხომ საბჭოთა პერიოდის კორუმპირებულ პიროვნებებს იცავდა.

— იგი ბრეჟნევის სიძესაც კი იცავდა. განა სამპსონის ადვოკატები, რომელსაც მთელი მსოფლიო მკვლელად თვლის, დამნაშავეებია?

● მაკაროვმა მოსკოვის საჭადრაკო ოლიმპიადის სპონსორად საეჭვო ფირმა გახადა, რომელიც ორი კვირის შემდეგ გაკოტრდა.

— რა ვუყოთ მერე? რუსეთში ხომ ასეთი ფირმა უამრავია. როცა რუკოომ სალიკვიდაციო ადამიანების სია შეადგინა, იქ მაკაროვს მეცხრე ადგილი ეკავა. ჩემთვის ეს ბევრს ნიშნავს, ეს ამ ადამიანის სერიოზულობის ნათელი დადასტურებაა.

● რა მიზნებით ხართ დაკავებული?

— ჩემი ფირმა, რომელსაც შტაბ-ბინა ლონდონში აქვს, რუს საქმოსნებს კონსულტაციას უწევს. გარდა ამისა, ჩარტერულ გადაზიდვებს ვაწარმოებთ, მანქანებით ვვაჭრობთ.

● ეშზადებით ჰადრაკიდან წასასვლელად?

— მე დასამტკიცებელი აღარაფერი დამრჩა. მზად ვარ ახალი პერიოდისთვის, რომელიც უფრო დაძაბული უნდა გამოდგეს.

● გსურთ პოლიტიკას მიჰყოთ ხელი?

— დრო ჯერ კიდევ მაქვს, მხოლოდ 32 წლისა ვარ. მომავალ საპარლამენტო არჩევნებში ურიგო შესაძლებლობები როდი მექნებოდა, მაგრამ მინდა ჰადრაკს კიდევ მოვანდომო უახლოესი 3-4 წელიწადი და თან ბიზნესშიც ვიყო. თუკი დავრწმუნდი, რომ ამოვწურე ჩემი შესაძლებლობები, პოლიტიკას მიუყოფ ხელს.

● თქვენმა მასწავლებელმა — ბოტვინიკმა დაგახასიათათ, როგორც სტალინისტი. ეს კარგი წინაპირობაა პოლიტიკური კარიერის დასაწყებად?

— ტეტჩერსაც სტალინისტს უწოდებდნენ. ჩვენს შორის კი ერთადერთი ნამდვილი სტალინისტი თვით ბოტვინიკი იყო.

● რა პოლიტიკური თანამდებობა გიზიდავთ უველაზე მეტად?

— არ მივეკუთვნები იმ ადამიანთა რიცხვს, რომლებიც დიდხანს ასრულებენ მეორეხარისხოვან როლს.

მოამზადა
გივი თოდრელმა

პაპარა ფეხბურთელების დიდი გამარჯვება

ესპანეთის საკურორტო ქალაქმა მალგრატ-დელმარშმა უეფას ეგიდით უმასპინძლა საერთაშორისო ტურნირს ფეხბურთში ჰაბუკთა შორის. პირველად საქართველოდან ტურნირში ორი გუნდი გამოდიოდა. 12 წლამდე — „ნორჩი დინამოელი“, 14 წლამდე — 35-ე საფეხბურთო სკოლა. დებიუტი იღბლიანი გამოდგა. 35-ე სკოლელებმა II ადგილი დაიკავეს, „ნორჩი დინამოელი“ კი უძლიერესი იყო და თასი დაისაკუთრა (მწვრთნელები: გ. გომელაური და თ. სულაქველიძე, სკოლის დირექტორი — ო. გეგეჭკორი). ჩვენმა გუნდმა ფინალში გერმანიის „ვახენჰაიმი“ დაამარცხა 6-0. გამარჯვებული გუნდის შემადგენლობა: მ. ბობღიაშვილი, გ. დონაძე, გ. ჩაჩიბაია, შ. კაშია, მ. ლომიძე, დ. ფუტკარაძე, დ. ყატაშვილი, თ.ბერძენიძე, დ. ტატანაშვილი, მ. ბესარაშვილი, გ. თიბილაშვილი, მ. ლობჟანიძე, პ. ნოზაძე, კ. კობაიძე, ლ. ყურაშვილი, ვ. ჩოჩია, ი. მელქაძე, 19 ბურთით ტურნირის ბომბარდირი გახდა ტატანაშვილი, მასვე გადაეცა საუკეთესო თავდამსხმელის პრიზი.

— ყველაფერი ჩინებულად იყო ორგანიზებული. დიდი მოწონება დაიმსახურეს ჩვენმა ბიჭებმა. მეც კმაყოფილი ვარ, როგორც შედეგით, ისე თამაშის ხარისხით. გამოვყოფდი დიმა ტატანაშვილს, გელა დონაძეს, მამუკა ლომიძეს, შოთა კაშიას — გვითხრა გელა გომელაურმა.

წლის ბოლოს ნორჩი დინამოელები საერთაშორისო ტურნირში იასპარეზებენ სანქტ-პეტერბურგის თასზე. მაგრამ... ყველაფერი დამოკიდებულია ფინანსებზე. გუნდის ხელმძღვანელობა იმედოვნებს, რომ გამოჩნდებიან სპონსორები. დარეკეთ: 95-37-27, 34-07-91 ან მიაკითხეთ „ნორჩი დინამოელის“ სკოლას, მაიაკოვსკის, 14 (მუშტაიდის გვერდით).

არჩილ ბერიძე

მესამე ადგილიც დიდი საქმეა

სამბო

სამარაში გაიმართა მსოფლიოს თასის გათამაშება სამბოში სპორტულ კლუბებს შორის. საქართველომ ამ პრესტიჟულ ასპარეზობაში წარმოადგინა „შევარდენის“ ნაკრები, რომელიც გაძლიერებული იყო თავდაცვის სამინისტროს სპორტკლუბის რამდენიმე წარმომადგენლით. გათამაშებაში მონაწილეობდნენ, აგრეთვე, მონღოლეთისა და კასტოვოს გუნდები, ადგილობრივი სამბისტები და მოსკოვის კლუბი „სამბო-70“.

საქართველოს მოჭიდავეებმა („შევარდენის“ უფროსი მწვრთნელი -ანზორ ზურაბაული) პირველ ორთაბრძოლაში აჯობეს მონღოლეთის წარმომადგენლებს — 6:2 (ერთი შეხვედრა ფრედ დამთავრდა), მეორეში მარცხი განიცადეს უმნიშვნელო სხვაობით — 4:5, III ადგილისათვის ბრძოლაში კი აჯობეს სამარის გუნდს 8:1. ადგილები საბოლოოდ განაწილდა ასე: 1. კასტოვო, 2. „სამბო-70“ (კასტოვოს სამბისტებმა ფინალში მოსკოველები დაამარცხეს ანგარიშით 6:2), 3. საქართველო.

„შევარდენის“ ღირსებას ამ ტურნირში წონითი კატეგორიების მიხედვით იცავდნენ: ბესიკ ოდიშვილი, ბადრი ჯანიაშვილი, მამუკა კურდღელაშვილი, არჩილ ჩოხელი, ჯონდო მუზაშვილი, მამუკა ჯანიაშვილი, ივანე გამხიტაშვილი, გიორგი გაზდელიანი, ვალერი პარუნაშვილი.



XXX

ნოემბრის პირველ რიცხვებში საფრანგეთის ქალაქი სანდელუზი უმასპინძლებს ვეტერან სამბისტთა მსოფლიო ჩემპიონატს, რომელშიც საქართველოდან იასპარეზებენ: ზაურ სახვაძე, ავთანდილ თოდრია, მევლუდ ჩხაიძე, ჯემალ ფიცხელაური, ნუგზარ მამულაშვილი, თემურ დვალიშვილი. გუნდს გაჰყვა საქართველოს სამბისტთა ნაკრები გუნდის უფროსი მწვრთნელი ოლეგ იაძე.

სიკვდილამდე ცოტა ხნით ადრე

ბრაზილიელი აირტონ სენა მსოფლიო ავტოსპორტის ისტორიაში ყველაზე უნიკალურ, ამოუცნობ და ორიგინალურ მოვლენადაა მიჩნეული, „ფორმულა-1“-ში წლების მანძილზე არსებობდა აირტონ სენას ფენომენი, რომელიც მიუხედავად იმისა, რომ საყოველთაო სიყვარულისა და მოწონების საგანს წარმოადგენდა, მაინც საიდუმლოებით იყო მოცული. აირტონ სენა დაიღუპა ტრაგიკულად, მოულოდნელად, მხოლოდ მისთვის საკადრის სიტუაციაში და დატოვა ლეგენდა ყველა დროის საუკეთესო ავტომობილისტზე. ზოგის აზრით, აირტონ სენა გენიოსი იყო (ალბათ ამიტომ დაარქვეს ზედმეტსახელად „მეჯიკი“- ჯადოქარი), ზოგი მას ვერ იტანდა მედიდურობისათვის, ზოგი კი საშიშ პიროვნებას უწოდებდა. ამბობდნენ, რომ მას ერთადერთი წიგნი ჰქონდა წაკითხული — ბიბლია და ყოველი რბოლის წინ ლოცულობდა.

ინტერვიუ, რომელსაც ქვემოთ გთავაზობთ შემოკლებით, დაიბეჭდა მის დაღუპვამდე ცოტა ხნით ადრე. იგი ხელს შეგვიწყობს უფრო სწორად გავიგოთ ამ დიდი სპორტსმენის პიროვნება.

აირტონ სენა: „ფორმულა-1“-ის პილოტი ეგოისტი უნდა იყოს!

● **თქვენ „ფორმულა-1“-ის საუკეთესო პილოტთა შორის გამორჩეული ხართ. საინტერესოა, რა გამოძრავებთ, მხოლოდ გამარჯვების სურვილი და ტიტულების სიყვარული?**

— როდესაც მსოფლიოში ყველაზე სწრაფი ავტომანქანის საჭეს ვუზივარ, წარმოუდგენელი გრძნობა მეუფლება. მისი გადმოცემა ჩვეულებრივი სიტყვებით არ შეიძლება. ვფიქრობ, სხვა ავტომობილისტებისთვისაც არ უნდა იყოს უცხო ეს გრძნობა. იმისათვის, რომ გაიმარჯვო, მხოლოდ სისწრაფის სიყვარული არ არის საკმარისი. გამარჯვებული უნდა ფლობდეს ერთ განსაკუთრებულ თვისებას — ზეაგრესიულობას. პილოტს ხშირად ეუფლება უსიამოვნო განცდები, იმედების საშიში გაცრუება. ყველაფერ ამის კომპენსაცია მხოლოდ ზოგჯერ ხდება. აი, სწორედ მაშინ ხარ ბედნიერი. ეს არის ნეტარება, მაგრამ სამწუხაროდ, მოკლევადიანი — და მაინც, ჩვენ, ავტომრბოლელები მხოლოდ ასეთი წუთებისთვის ვცხოვრობთ.

● **პილოტი საშინელ ფიზიკურ დატვირთვას უძლებს ტრასაზე. რისთვის იტანთ ყველაფერ ამას, ნუთუ გამარჯვების წამიერი სიხარულისთვის?**

— გამარჯვება, ცხადია, მუდამ საბოლოო მიზანი არის, გამარჯვება და ჯილდოები. რაც უნდა თქვან, ყველა სპორტსმენი ამისთვის გამოდის სტარტზე. გამარჯვება მხოლოდ გამარჯვებისთვის პატარა ჯილდოა. მე მაგალითად, დიდი სურვილი მაქვს ამოვიცნო ჩემი შესაძლებლობების ზღვარი. რისკი ჩვენი პროფესიის შემადგენელი ნაწილია. დიდი ოსტატობა იმას ნიშნავს. რომ სწორად განსაზღვრო რისკის ზღვარი და არ გადააბიჯო მას.

● **აზერხებთ ამას?**

— ყოველთვის არა.

● **ნაცნობია თუ არა თქვენთვის შიშის გრძნობა?**

— რა თქმა უნდა ნაცნობია. ამ გრძნობას არ უნდა დაემალო. არც უნდა გრცხვენოდეს მისი. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, შიში ბუნებრივი გრძნობაა. ხშირად იგი დაცვით ფუნქციებსაც ასრულებს. მერე სხვებიც უნდა გახსოვდეს მუდამ, ვინაიდან შენს უსაფრთხოებაზე დიდად არის დამოკიდებული შენი ოპონენტების უსაფრთხოება.

● **რისი შიში გაქვთ ყველაზე მეტად, როცა საჭეს უზიხართ?**

— საკუთარი თავის. დიდი სისწრაფის დროს ადამიანს ენითაუწერელი ემოციები ეუფლება. ეს ემოციები ათრობს პილოტს, რეალურობის გრძნობას უკარგავს. თეორიულად ვიცი, რომ ასეთ დროს კონტროლი უნდა გაუწიო საკუთარ თავს, ვინაიდან ტრასაზე მარტო არა ხარ. მაგრამ ზოგჯერ სისწრაფესთან ჭიდილში გავიწყდება ყველაფერი და სიფხიზლეს ჰკარგავ.

● **თან ისიც უნდა გახსოვდეთ ალბათ, რომ რაღაც გარკვეული დოზით პილოტი მანქანაზეა დამოკიდებული.**

— სრული ჭეშმარიტება გახლავთ. ყველაზე ნიჭიერი მრბოლიც კი ვერაფერს გახდება ცუდ მანქანაზე. აი, თუ მანქანები კლასით დაახლოებით თანაბარნი არიან, მაშინ გადამწყვეტ სიტყვას საჭესთან მჯდომი ადამიანი ამბობს.

● **პილოტისთვის რომელი თვისება მიგაჩნიათ ყველაზე საჭიროდ?**

— უნარი აღიარო, რომ ვიღაც შეიძლება შენზე ძლიერი იყოს. ფინიშთან რომ ვერ მიხვიდე პირველი, უნდა იცოდე, ქვეყანა ამით არ დაქცეულა. ასეთ დროს მიზეზი არასდროს უნდა ეძებო ძრავის ან მუხრუჭების გაუმართაობაში.

● **არსებობს თუ არა ღირსების კოდექსი „ფორმულა-1“-ში?**

— ფორმულაში მონაწილე სამი ათეული პილოტიდან მხოლოდ რამდენიმეს ჩამოვთვლი, რომლებსაც ღირსების გრძნობა გააჩნიათ, საკუთარი შესაძლებლობების სწორად შეფასება შეუძლიათ.

● **როგორ ეგუება ერთმანეთს ორი ჩემპიონი ერთ გუნდში?**

— ეს არც ისე ადვილია, ვინაიდან ყოველი ავტომობილისტი, საბოლოო ჯამში, პირველობისთვის იბრძვის. ჩვენთან არ არის ისე, როგორც ველოსპორტში, როცა მთელი გუნდი ერთ „ლიდერზე მუშაობს“. მე მეტის თქმაც შემიძლია: „ფორმულა-1“-ის პილოტი ეგოისტი უნდა იყოს. მიუხედავად ამისა, ჩემპიონთა თანაარსებობა შესაძლებლად მიმაჩნია, მაგრამ ამისთვის ორთავე მხარეს ინტელექტის რაღაც დონე უნდა ჰქონდეს. ამავე დროს, უნდა შეეძლოს პატივი სცეს ამხანაგსაც და მეტოქესაც. ასეთ შემთხვევაში ორი ჩემპიონის პარტნიორობამ სასურველი ეფექტიც შეიძლება გამოიღოს.

● **ამ საკითხზე რომ ვსაუბრობთ თქვენი და ალენ პროსტის ურთიერთობა გვახსენდება. თქვენ უკვე მეორედ შეურიგდით ერთმანეთს. რა იქნება მერე?**

— პასუხი შეკითხვაზე თქვენვე გაეცით. მე და პროსტმა ხელი მოვაწერეთ სამშვიდობო ხელშეკრულებას. მეტი არაფერი.

● **ვინც კარგად გიცნობთ, გვარწმუნებენ, რომ ბოლო დროს ძალზე შეიცვალეთ. მართალია?**

— თქვენ წარმოიდგინეთ, არც კი ვიცი შევიცვალე თუ არა. ოღონდ ერთი კია, უფრო მეტს ვფიქრობ, ვცდილობ ყველაფერს სწორი ანალიზი გავუკეთო. თანაც ნებისმიერ ვარიანტში ინდივიდუალობა შევინარჩუნო. ეს მნიშვნელოვანია. არ მიყვარს, როცა ჯერ ხელოვნურად შექმნიან რაიმე სახეს და მერე ცდილობენ მას დაემსგავსონ.

● **რა ადგილი უჭირავს თქვენს ცხოვრებაში ღმერთის რწმენას?**

— ვერ გეტყვით. ღმერთი, უბრალოდ, მწამს და ეს არის, ჟურნალისტები ბევრს ისეთს მაწერენ, რაზეც არასდროს შიფიქრია.

● **იმასაც კი ამბობენ, რომ თქვენს მანქანას ღმერთი მართავსო. ერთმა გერმანულმა ჟურნალმა ისიც კი დაწერა, სენა მღვდლად შედგომას აპირებსო.**

— აბსურდია, თანაც სულელური.

● **სტარტის წინ რაზე ფიქრობთ?**

— კონკრეტულად არაფერზე. ყურადღების კონცენტრაციას ვახდენ, რომ ხელი არავინ შემიშალოს. მიყვარს სტარტის წინ მარტო ყოფნა.

● **სულ ბოლო წუთებში?**

— ეს უკვე სხვა სამყაროში გადასვლასა ჰგავს. ათასი აზრი გაგიელვებს თავში ერთდროულად. უნდა ეცადო არც ერთი არ გამოგრჩეს.

● **თქვენზე ამბობენ, ყველა საქმე ბოლომდე მიჰყავსო.**

— ვცდილობ, მაგრამ, სამწუხაროდ, არ გამომდის. არც ტრასაზე, არც ყოველდღიურ ცხოვრებაში. იმისთვის, რომ თავს მშვიდად ვგრძნობდე, დარწმუნებული უნდა ვიყო, რომ ყველაფერი წესრიგშია, რომ ყველა ნივთს თავისი ადგილი უკავია.

● **რას აკეთებთ რბოლისგან თავისუფალ დროს?**

— ვცხოვრობ ფერმაში, რომელიც ველურ, უკაცრიელ ადგილას მაქვს მოწყობილი, სან-პაულოდან საათნახევრის ფრენაზე. იქ ჰაერი გამჭვირვალეა, წყალი — სუფთა, მიწა — ნოყიერი. ასფალტს კილომეტ[illegible]ე ვერ შეხვდებით. მე მჭირდება ეს ადგილი სულიერი სიმშვიდისთვის. ამიტომაც ჩავდივარ იქ დროგამოშვებით. გადარეულ ევროპაში ყოფნის შემდეგ სწორედ ასეთი განტვირთვა მჭირდება.

● **რას ერჩით ევროპას?**

— მე უცხო კაცად ვგრძნობ თავს ამ კომფორტულ და ზედმეტადგანვითარებულ სამყაროში. იქ რაღაც მაკლია ხოლმე. შეიძლება ცხოვრებისეული რწმენა და სულიერი სიმშვიდე. ეკონომიკური სიღარიბის მიუხედავად, ეს ყველაფერი ბრაზილიაში თავზე საყრელი გვაქვს.

● **რას გააკეთებთ სპორტიდან წასვლის შემდეგ?**

— მე ცხოვრებაში არა მაქვს პრობლემები. შეიძლება იმიტომ, რომ ცხოვრებას ვიღებ ისეთს, როგორიც არის. „ფორმულა-1“-ში ვაკეთებ იმას, რასაც ჩემგან მოითხოვენ, თანაც ვაკეთებ ხარისხიანად, კეთილსინდისიერად. სპორტიდან რომ წავალ, შევეცდები არ შევიქმნა პრობლემები. რაც იყო ადამიანი სპორტში, იგივე უნდა დარჩეს შემდგომ ცხოვრებაში...

წერილი რედაქციას!

პირველ ყოვლისა, გაგეცნობით: ვარ რომან ქორიძე, თბილისელი, ფეხბურთის გულშემატკივარი, პროფესიით ინჟინერი, უმუშევარი. ახლახანს ხელში ჩამივარდა რუსული გამოცემა „ფუტბოლის“ ერთი წლევანდელი ნომერი, მართალია, მოძველებული, მაგრამ მაინც გადავიკითხე. ძალიან დამაინტერესა ცნობილი ჟურნალისტის, „ფუტბოლის“ ყოფილი რედაქტორის ლევ ფილატოვის წერილმა „მუზარადი ხიშტზე“. ადრე მისი ხელმოწერით კარგად გააზრებული ბევრი საფეხბურთო მიმოხილვა წამიკითხავს. ამ წერილმაც მიიქცია ჩემი ყურადღება და მინდა „ლელოს“ მკითხველებმაც იცოდნენ, რას წერს ეს კაცი საბჭოთა ფეხბურთზე. ცხადია, მე მხოლოდ მოკლედ გაგაცნობთ, რაც საყურადღებოდ მივიჩნიე, თუმცა, ნება თქვენია, ალბათ ან დაბეჭდავთ ან არა.

მაშ ასე, ლევ ფილატოვის სიტყვები:

„იმ წლების ჩვენი ფეხბურთის ძალაუფლებას მე ოთხიარუსიანს ვუწოდებდი.

პირველი. ქვედა იარუსი — ფეხბურთის ფედერაცია და სამმართველო ჩემს დროს აპათიურნი, უძალაუფლებონი იყვნენ. ისინი მხოლოდ ყოველდღიურ წვრილმან საქმეებზე გახლდნენ დაგეშილი და უმნიშვნელო, მეორეხარისხოვან ამბებსღა ხელმძღვანელობდნენ.

მეორე იარუსი — სპორტსახკომი, ეს ვეება ხუხულა დაწესებულება, რომელიც განასახიერებდა თავის ვითომ ყოვლისშძლეობას, ხოლო სინამდვილეში მარტოოდენ სიმხდალეს და მლიქვნელობას ავლენდა. სასაცილოა, მაგრამ მინისტრს თავის მაგიდაზე ედო იმ ფეხბურთელთა სია, რომლებსაც კლუბიდან კლუბში გადასვლა ელოდათ, მინისტრი მუდამ მზად იყო სამთავრობო ტელეფონებით პასუხი გაეცა ზემდგომი ინსტანციებისთვის.

მესამე იარუსი — ეს უკვე უმაღლესი სპორტის პარტიული რგოლია. ისინი რეკავდნენ „იქიდან“, „ზევიდან“, მოჩვენებითი, ხაზგასმული ზრდილობით ბრძანებდნენ იმის გაკეთებას, რაც თვითონ სურდათ და რაშიც საკუთრივ ხელის გასვრას არ აპირებდნენ.

მეოთხე იარუსი — გვერდითი, ლოჟის ბენუარები. ესენი იყვნენ შუამავლები, მთხოვნელები, დაინტერესებული პირები, დალალები. ეს რესპუბლიკის, მხარის, ოლქის, სამხედრო უწყების, სამინისტროს, ინდუსტრიული გიგანტებისა და სხვათა წარმომადგენლები გახლდნენ. ესენი მოსკოვში უხვად ეზიდებოდნენ მაგნიტოფონებს, ტელევიზორებს, კონიაკს, ძვირფას ხილს, შამპანურს, შოკოლადის ყუთებს და ვინ იცის კიდევ რას. ერთი სიტყვით, ქრთამი ჯოჯოხეთს ანათებდა“.

ერთობ საინტერესოა ფეხბურთის ძველი ფუნქციონერის ეს თუნდაც ნაგვიანევი აღიარება.

კერპების მსხვრევა

გერმანიაში კვარცხლბეკიდან აგდებენ კერპებს, ბავარიის ქალაქ ლანდსხუტის ბურგომისტრმა ვერნერ ცვინგმა მოითხოვა გადაერქვას სახელი შტეფი გრაფის ქუჩას. ქალაქის თავმა მოითხოვა, რომ ამიერიდან ლანდსხუტის ეს მაგისტრალი იწოდებოდეს 30-იანი წლების თვალსაჩინო გერმანელი მოკრივის მაქს შმელინგის ქუჩად.

„ძნელი დასაჯერებელია, — თქვა ბურგომისტრმა, — რომ არაფერი იცოდა შტეფიმ მამამისის ფინანსური ოინების შესახებ. და რახან იცოდა, ასეთი სპორტსმენები მაგალითს ვერ მისცემენ ახალგაზრდებს“.

ამჟამად მანჰეიმის პროკურატურა ამთავრებს საქმეს გრაფების ოჯახის მიერ სახელმწიფო გადასახადების დაფარვის შესახებ. შტეფის მამა პიტერ გრაფი და ოჯახის ფინანსური მრჩეველი უკვე ორ კვირაზე მეტია მანჰეიმის საგამომძიებლო იზოლატორში იმყოფებიან. ვარაუდობენ, რომ გამოძიება გასტანს კიდევ რამდენსამე თვეს. როგორც ირკვევა, ბადენ-ვიურტენბერგისა და ბონის პოლიტიკოსები ხელს უწყობდნენ „ერის სიამაყეს“ და მას გარკვეულ საგადასახადო შეღავათებს აძლევდნენ.

საგადასახადო ინსპექციის ცნობით, გერმანიის მოქალაქეები ოფიციალურად ითხოვენ საგადასახადო შეღავათებს. ასე მაგალითად, ქალაქ ჰაილბერონში რამდენიმე ათეულმა მოქალაქემ მოითხოვა ზუსტად ისეთივე შეღავათები, როგორითაც თურმე შტეფი გრაფი სარგებლობდა (გადასახადების 35 პროცენტით შემცირება).

ხუთი რგოლის ბარშემო

„კოკა კოლას“ ფირმამ ოლიმპიური თამაშების სპონსორობა ჯერ კიდევ 1928 წელს იკისრა (ამსტერდამი IX ოლიმპიადა). მას შემდეგ იგი მჭიდრო კონტაქტშია მსოფლიო სპორტის ამ უმთავრეს დღესასწაულთან და ხშირად დახმარების ხელს უწვდის მას. აი ახლაც, ცნობილი გახდა, რომ ფირმა, რომელიც ჯორჯიას შტატშია განლაგებული და არსებობის 100 წლისთავს ზეიმობს, სპონსორობას გაუწევს ატლანტის ოლიმპიურ თამაშებს. ამავე დროს „კოკა კოლამ“ გამოთქვა სურვილი იყოს 1998 წლის ნაგოიას ზამთრის ოლიმპიური თამაშებისა და სიდნეის 2000 წლის ზაფხულის ოლიმპიადის სპონსორი.

სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის მთავრობამ და პრეზიდენტმა ნელსონ მანდელამ ოფიციალურად განაცხადეს, რომ მხარს დაუჭერენ კეიპტაუნის კანდიდატურას მიიღოს 2004 წლის ზაფხულის ოლიმპიური თამაშები. რაც შეეხება ქალაქის ფინანსურ შესაძლებლობებს, ამ საკითხს ხელისუფლება სპეციალურად შეისწავლის და მოახსენებს საერთაშორისო ოლიმპიურ კომიტეტს 1996 წლის აპრილში.

მომავალი ოლიმპიადის დედაქალაქი ატლანტა და ათენი დაძმობილებული ქალაქები გახდნენ. ამ გადაწყვეტილებას აშშ და საბერძნეთი პოლიტიკურ მნიშვნელობას ანიჭებენ. საქმე ის გახლავთ, რომ ატლანტა და ათენი თავის დროს კონკურენტებად ითვლებოდნენ და ამის გამო დამოკიდებულება მათ შორის საკმაოდ დაძაბული იყო. საერთაშორისო ოლიმპიურ კომიტეტში ამ გადაწყვეტილებას, მოქიშპე ქალაქების დაახლოების შესახებ, ბრძნული უწოდეს.

რა ხდება ქვეყანაზე

● დეკემბერს, მიუნხენში გაიმართება წლევანდელი საჩოგბურთო სეზონის ერთ-ერთი მთავარი ტურნირი — „დიდი სლემის თასის“ გათამაშება, რომელშიც მონაწილეობას მიიღებს მსოფლიოს 16 უძლიერესი სპორტსმენი. წლევანდელი გათამაშების საპრიზო ფონდი 6 მილიონი დოლარია. აქედან გამარჯვებული მიიღებს 1,5 მილიონს, ფინალისტი — 750 ათასს, ნახევარფინალის მონაწილეებს გადაეცემათ 425-425 ათასი. მეორე წრეში დამარცხებული ჩოგბურთელი მიიღებს 250 ათას, პირველ წრეში დამარცხებული კი 100 ათას დოლარს. ამათ გარდა, ორი სათადარიგო მათამაშისთვის გამოყოფილია 50-50 ათასი დოლარი. დარჩენილი ერთი მილიონი უკვე განაწილდა „დიდი სლემის“ ტურნირებში გამარჯვებულთა შორის. ანდრე აგასიმ (ავსტრალიის ღია ჩემპიონატი) და თომას მუსტერმა („როლან გაროსი“) მიიღეს 250-250 ათასი დოლარი. პიტ სამპრასმა კი (უიმბლდონი და აშშ-ს ღია ჩემპიონატი) 500 ათასი. ცნობილი გადა, რომ ჯიმ კურიეს არ სურს ამ ასპარეზობაში თამაში. მის ნაცვლად მეთექვსმეტე მონაწილედ შეყვანილია მიჰაელ შტიხი.

● ჰიმალაიში ალპინისტური ექსპედიციის დროს გულის მძიმე შეტევა გადაიტანა სამგზის ოლიმპიურმა ჩემპიონმა სათხილამურო სპორტში ვეგარდ ულვანგმა (ნორვეგია). ახლა იგი მთლიანად გამოჯანმრთელდა და სეზონისათვის სამზადისს შეუდგა. 31 წლის მოთხილამურეს სპორტიდან წასვლა გადაწყვეტილი აქვს ტრონჰეიმის მსოფლიო ჩემპიონატის (1997 წელს) შემდეგ.

● ზაისად 83-ე „ტურ დე ფრანსი“ დაიწყება 29 ივნისს და ფინიშის ხაზს გადაკვეთს 22 ივლისს. ტრასა გაივლის 5 ქვეყნის გზებზე (ჰოლანდია, ბელგია, იტალია, ესპანეთი და ცხადია, საფრანგეთი). „დიდი მარყუჟის“ (ასე უწოდებენ ამ რბოლას) საერთო სიგრძე იქნება 3835 კმ. იგი დაიყოფა 21 ეტაპად. აქედან 11 ეტაპი მოეწყობა დაბლობში, 4 შუამთიანეთში და 4 ალპებსა და პირინეებში. 2 ეტაპი დაეთმობა დაყოფილი სტარტით რბოლას. „ტურ დე ფრანსში“ მონაწილეობას მიიღებს 22 გუნდი (თითოში 9-9 მრბოლი).

რა ხდება ქვეყანაზე

თბილისის „დინამო“ და... იმ ცნობილი პენსნეს მფლობელი

აბსოლუტურად არ გვაინტერესებს ამჯერად პოლიტიკა და არც ვაპირებთ მასზე საუბარს, თუმცა საქმე ეხება ჩვენს განვლილ პოლიტიკურ ცხოვრებაში ისეთ ცნობილ ფიგურას, როგორიც ლავრენტი ბერია იყო. დღეს ლ. ბერიას სულ სხვა მხარეზე გვექნება საუბარი — სპორტულზე, უფრო კონკრეტულად კი მისი საყვარელი თბილისის „დინამოს“ ოსტატთა გუნდის ენგერგიულ ჭომაგზე — აი იმაზე, პენსნეს რომ ატარებდა.

რომ იტყვიან, ტარანი თვლითაააო და ლავრენტი ბერიამაც იმდენი რამ გააკეთა საქართველოს უპირველესი გუნდისათვის, რომ ამ მხრივ მადლობის მეტი არა გვეთქმის რა. დავიწყოთ იმით, რომ 1935 წელს, როდესაც ცნობილი გახდა, რომ ქართველი ფეხბურთელები მონაწილეობას მიიღებენ საკავშირო ჩემპიონატში „ბ“ კლასის გუნდებს შორის, ლ. ბერიამ სასწრაფოდ გააძლიერა თეთრ-ცისფერთა კოლექტივი (იმხანად თბილისის „დინამოს“ ოსტატთა საჩვენებელი გუნდი ეწოდებოდა), გადმოიყვანა რა მთელი რიგი ნიჭიერი მოთამაშე სხვადასხვა კლუბებიდან — ტსპო-დან, „ლოკომოტივიდან“, ზიი-დან (ამიერკავკასიის ინდუსტრიული ინსტიტუტი), სახელმწიფო უნივერსიტეტიდან და სხვა. თბილისის „დინამოს“ გიგანტი სტადიონის მშენებლობაც ხომ მისი ინიციატივით დაიწყო. მოგვიანებით ლ. ბერიამ თბილისის დინამოელთათვის ააშენებინა სასწავლო-საწვრთნელი ბაზა დიღომში და ჩვენს გუნდს შინსახკომის დასასვენებელი სახლი გადასცა ლესელიძეში, რომელზეც ფეხბურთის რამდენიმე მოედანი გააშენეს. ამ ბაზას დღეს, როგორც იცით, პანსიონატი „სპორტი“ ეწოდება. სპეციალურად თბილისის „დინამოსათვის“, 1952 წელს მოსკოვში, ბაბუშკინოს რაიონში ააგებინა ორსართულიანი კოტეჯი ფეხბურთის მოედნით. სწორედ აქ ჩერდებოდნენ და ვარჯიშობდნენ მოსკოვში თამაშებზე ჩასული ქართველი ფეხბურთელები. ბაზამ, მოგეხსენებათ, 1953 წლამდე იარსება...

სხვათა შორის, ცნობილი ფეხბურთელი ნიკოლაი სტაროსტინი თავის პუბლიკაციებში (ჟურნალ-გაზეთებსა და წიგნებში) დაჟინებით იმეორებს ერთსა და იმავე ამბავს: თითქოს თბილისში, მას, მოსკოვის ნაკრებისა და „სპარტაკის“ მარჯვენა გარემარბს, მეურვეობდა თბილისელთა ნახევარმცველი ლავრენტი ბერია.

ეს ამბავი სინამდვილეს არ შეეფერება, რის შესახებ ჩვენთვის ბევრჯერ უთქვამს ბორის პაიჭაძეს, გაიოზ ჯგუბლავას, გრიგოლ გაგუას და სხვებს. ამის თაობაზე თავის დროზე მივწერეთ კიდეც ნ. სტაროსტინს და „ფუტბოლის“ რედაქციასაც. საქმე ისაა, რომ ლ. ბერიას არასოდეს უთამაშია ფეხბურთი, ყოველ შემთხვევაში, იმ დონეზე, რომ მოსკოვის ნაკრების წინააღმდეგ ეასპარეზა. აი, ტყვიის სროლა კი კარგად ეხერხებოდა. ამბობენ, იგი თბილისის ჩემპიონიც იყოო პისტოლეტიდან სროლაში.

ასეა თუ ისე, ლავრენტი ბერიას ყველაზე გამორჩეულად მაინც ფეხბურთი უყვარდა და დინამოელთა გუნდების, პირველ რიგში, თბილისის „დინამოს“ დიდი გულშემატკივარი და მოამაგე იყო.

დღეს „ლელოს“ მკითხველს ვთავაზობთ ცნობილი ფეხბურთელის ვლადიმერ ელოშვილის ორ მოგონებას ლ. ბერიაზე.

პირველი ამბავი 1949 წელს მოხდა, როდესაც ვ. ელოშვილი ახალი მოსული იყო თბილისის „დინამოში“. ჩვენი ფეხბურთელები მოსკოვში იმყოფებოდნენ ადგილობრივ თანაკლუბელებთან მატჩის მოლოდინში, ტრადიციულად უშიშროების სახელმწიფო კომიტეტის სასტუმროში ცხოვრობდნენ, მაიაკოვსკის მოედანზე. ვ. ელოშვილთან ერთად ნომერში იყვნენ ავთანდილ ღოღობერიზე და ანდრო ზაზროევი. ღამის თორმეტის ნახევარი იქნებოდა, როდესაც მათი ტელეფონის ზარი აწკრიალდა. ბასა ღოღობერიძე სწრაფად წამოხტა საწოლიდან და ყურმილი აიღო. დარწმუნებული იყო, რომ ჩვენი გუნდის რომელიმე თაყვანისმცემელი (იქნებ ქალიც) ან მეზობელ ნომრიდან მიშა ჯოჯუა და რეზო მახარაძე რეკავდნენ.

გრუზინსკი კნიაზ ავტანდილ გოგობერიძე სლუშაეტ! — იუმრა ბასამ.

უცებ ჩვენს კაპიტანს ხმა შეეცვალა, თითქოს გაჭვავდა ადგილზე და დიდი მოწიწებით უპასუხა: „ეშიო ზაზროევი ელოშვილი“. ამის შემდეგ ღოღობერიძე სწრაფად მიუბრუნდა ელოშვილს და მიუგო — „შენთან უნდათ ლაპარაკი“

ახალგაზრდა ფეხბურთელი დარწმუნებული იყო, რომ მას ძველი თანაგუნდელები (ჯერ კიდევ „შრომითი რეზერვებიდან“) ურეკავდნენ — ჯოჯუა ან მახარაძე. ამიტომ გაბედულად მიიჩრა ტელეფონთან და ლანძღვა დაუწყო:

— რას მაიმუნობთ მანდ, დაგვაძინეთ ამ შუაღამისას!

შეშინებული ბასა სწრაფად მივარდა ელოშვილს და ყურმილს ხელი დააფარა.

— რაშია საქმე, ბიჭებო, ხან... „გრუზინსკი კნიაზო“, ხან... „რას მაიმუნობთო?!“ — გაისმა ყურმილში ქართულად.

თურმე ტელეფონზე ლ. ბერიას ადიუტანტი მუხანავი იყო (იგი წარმოშობით თბილისელი გახლდათ). ვ. ელოშვილი მთლად სმენად იქცა.

— თქვენ მგონი პირველად ხართ მოსკოვში? გითამაშიათ სერგეი სოლოვიოვის წინააღმდეგ? — ამჯერად მოუბარი უკვე რუსულად ლაპარაკობდა.

ჩვენი ახალგაზრდა ფეხბურთელი მთლად შეკრთა, ღამის ყურმილი გაუვარდა ხელიდან, არ იცოდა, რა ეპასუხა. მუხანავი მიხვდა რა პაუზის მიზეზს, ახლა დინამოელთა უფროსი მწვრთნელის დაძახება ითხოვა.

— ს ნიმ ხოჩეტ გავარიტ ლავრენტი პავლოვიჩ! — თქვა მოკლედ და გასაგებად.

შეშინებულმა ვოვა ელოშვილმა ყურმილი ფრთხილალდ დადო მაგიდაზე. ბასა და ანდრო გაშეშებულნი იდგნენ „სმირნაზე“, სახეზე ფერი არ ჰქონდათ. ელოშვილი გავარდა მწვრთნელის დასაძახებლად. ვესტიბიულში ტახტზე გოგი ანთაძე, ვოვა მარღანია და ნიაზ ძიაპშიპაისხდნენ. ეს სამეული თამაშის წინ მუდამ განსაკუთრებით ღელავდა ხოლმე და კარგა ხანს ვერ იძინებდა. ანთაძემ იკითხა, სად გარბიხარო ამ შუაღამისას. ვოვამ არაფერი უპასუხა, მგონი არც კი გაუგია. დაუკაკუნებლად შეაღო სოკოლოვის ნომრის კარი, მწვრთნელი საწერ მაგიდასთან იჯდა და ხვალინდელ განრიგს ბეჭდავდა პორტატულ საბეჭდ მანქანაზე, რათა დილით გამოეცა იგი დაფაზე. გაკვირვებულმა სოკოლოვმა ამოხედა სათვალის ქვემოდან:

— ვ ჩომ დელო ელოშვილი, პოჩემუ ნე სპიშ?

ვ. ელოშვილს ენა დაება, ისღა მოახერხა ამოელუღლუღებინა:

— ლავრენტი პავლოვიჩ... ტამ, ტამ... ტელეფონ!

ამის თქმა იყო და სოკოლოვი წამოხტა ფეხზე, სწრაფად ჩაიცვა სკამზე გადაკიდებული კიტელი, ყველა ღილი შეიბნია. ამასობაში საწოლზე მოკალათებული მიხაილ მინაევიც წამოდგა.

— ზა მნო! — გაისმა დოქტორ სოკოლოვის (ასე ეძახდნენ მას ოფიციალურად) ბრძანება. მწყობრი ნაბიჯით (სოკოლოვს პოლკოვნიკის წოდება ჰქონდა). სამივენი სწრაფად გაემართნენ გარეთ. დივანს რომ მიუახლოვდნენ, ა. სოკოლოვმა ახლა იქ მჯდომთა საყურადღებოდ დაიძახა: „ზა მნო!“, სამეულს ძიაპშიპა, მარღანია და ანთაძე აედევნენ უკან გაჭიმულნი.

ბასა და ანდრო ისევ იმ პოზაში იდგნენ ტელეფონთან უხმოდ, მერე აკანკალებული ხელით მიუთითეს ყურმილზე: „ტამ!..“

ა. სოკოლოვმა ერთი გადახედა ფეხბურთელებს, მერე მოწიწებით აიღო ყურმილი ხელში: „ლავრენტი პავლოვიჩ, ია ვას სლუშაიუ!“ ამის შემდეგ ჩვენი მწვრთნელი სულ ერთსა და იმავეს იმეორებდა: „და, და, და...“

სულ ერთთავად გაოფლიანდა, სავარძელში მძიმედ ჩაეშვა. კარგა ხანს არ იღებდა ხმას. სიტუაცია რაღაც მუნჯურ სცენას წააგავდა გოგოლის „რევიზორიდან“. მერე მწვრთნელი უცებ გამოერკვა, ახედა გაჭიმულად მდგარ ბიჭებს და დაიძახა — „ვოლონ“!

— აი ამხელა პიროვნება ფიქრობს თქვენზე, თქვენ კი... ერთი სიტყვით, ხვალინდელი მატჩი აუცილებლად უნდა მოვიგოთ!

დავიჭეთ ბოლოს, რომ ეს იყო სსრ კავშირის თასის გათამაშების მეოთხედფინალური მატჩი. ქართველმა ფეხბურთელებმა, მიუხედავად მედგარი ბრძოლისა, მაინც დათმეს ტრადიციულად „ძნელ“ მეტოქესთან — 1:3

1951 წლის სეზონში ლავრენტი ბერია მოსკოვის „დინამოს“ სტადიონს ეწვია ადგილობრივი „ტორპედოსა“ და თბილისის „დინამოს“ მატჩის სანახავად. ჩვენმა ფეხბურთელებმა ტაიმი მინიმალური ანგარიშით 0:1 წააგეს. შესვენებისას დინამოელთა გასახდელში ვიღაც იმპოზანტური მარშალი და რამდენიმე თანმხლები გენერალი შემოვიდა. დიდად აღელვებულნი იყვნენ და გვარიანადაც „გაჯორეს“ ჩვენი ფეხბურთელები. თურმე ტრიბუნებით, თამაშს მათი „ხაზეინი“ — ლავრენტი ბერია ესწრებოდა. ფეხბურთელებმა არაფერი იცოდნენ ამის შასახებ.

— ვისთან აგებთ, არ გრცხვენიათ, როგორ ვეჩვენოთ „ხაზეინს“?! — საკმაოდ მკაცრ ტონებში „გაესაუბრნენ“ დინამოელებს.

— პროშუ, ოსტავტე ნას, ვსიო ბუდეტ ვ პორიადკე!- უპასუხა ჩვენი გუნდის უფროსმა მწვრთნელმა მიხაილ იაკუშინმა.

...მეორე ტაიმი ქართველ ფეხბურთელთა მწვავე იერიშებით დაიწყო. მეტოქის კარი გაუთავებლად იბომბებოდა ტყვიასავით დარტყმული ბურთებით. ჩვენს ფეხბურთელებს აშკარა უპირატესობა ბოლომდე არ გაუშვიათ ხელიდან., დინამოელებმა ჯერ გაქვითეს გოლი, მერე წინ გავიდნენ ანგარიშში.

— ვჩომ დელო, ვი ჩტო, დოპინგ პრინიალი? — გაკვირვებით ჰკითხა ტორპედოელთა კაპიტანმა აგუსტინ გომესმა ჩვენი გუნდის თავს ავთანდილ ღოღობერიძეს.

— ვოტ ნაშ დოპინგ, პოსმოტრი, კტო სიდიტ ტამ!- ბასამ კოლეგას მთავრობის ლოჟისკენ მიუთითა. იქ, კუთხეში, თეთრ კიტელში, ეულად თვით ლავრენტი ბერია იჯდა, ტრადიციული პენსნე უელავდა მზეზე დროდადრო.

— რებიატა, ტამ ლავრენტი პავლოვიჩ! — აცნობა ა. გომესმა თანაგუნდელებს. ტორპედოელები მთლად დაიბნენ და ჩვენებმა ამასობაში კიდევ ერთი გოლი გაიტანეს. 3:1 — ასე გავიმარჯვეთ იმ დღეს.

თამაშის შემდეგ თბილისელთა გასახდელში კვლავ შემოვიდა ნაცნობი მარშალი გენერალთა ამალით. გახარებულნი იყვნენ, თვალები უბრწყინავდათ. დინამოელებს დიდი მადლობა გადაუხადეს და იქვე კონვერტებით თითო თვის ხელფასი გადასცეს — 160 მანეთი თითოეულს, რაც იმხანად კარგი ფული იყო. ბოლოს, როდესაც მარშალი გასახდელიდან მიდიოდა, გაიცინა და ჩუმად თქვა: „ვო მენია სპასლი, რებიატა, ა ტო სტალ ბი ია სეგოდნიაქე კაპიტანომ... კაკ ვაშ გოგობერიდზე!

ჩაიწერა ოთარ ნოზაძემ

პიერ ლიტბარსკი:
სათადარიგოთა სკამზე ჩემი თავი ვერ წარმომედგინა

34 წლის პიერ ლიტბარსკი ერთობ კოლორიტული ფიგურაა არა მარტო გერმანიის, არამედ მსოფლიო ფეხბურთის ისტორიაში.

ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, ლიტბარსკიმ 15 წელიწადი დაჰყო ერთი კლუბის („კიოლნის“) შემადგენლობაში, რაც მისი ხასიათის სიმტკიცეზე და ერთგულების გამახვილებულ გრძნობაზე მიგვანიშნებს. ლიტის (ასე უწოდებდნენ სიყვარულით გულშემატკივრები) ბუნდესლიგაში თამაშის დროს ერთი უმაღლესი ოცნება ჰქონდა — გამხდარიყო „400-იანთა კლუბის“ წევრი, მაგრამ „კიოლნის“ ყოფილ მწვრთნელთან იორგ ბერგერთან კონფლიქტური სიტუაციის გამო დიდხანს ვერ აისრულა გულის წადილი (აკლდა ორადორი მატჩი) და შესაძლოა ბოლომდე გულდაწყვეტილი დარჩენილიყო ძველი დამრიგებელი ახალ მწვრთნელს — იერატს რომ არ შეეცვალა.

● პიერ, თქვენ გულშემატკივრების საყვარელი ვარსკვლავი იყავით მუდამ. გერმანელი ბიჭუნები ლიტბარსკის თაყვანს სცემდნენ. თქვენ თავად თუ გყვადათ კერპი, ფეხბურთელი, რომელსაც გინდოდათ დამსგავსებოდით?

— მე მაშინ ორადორი ფეხბურთელი მომწონდა: იოჰან კრუიფი „აიაქსიდან“ და ალან სიმონსენი მენჰენგლადბახის „ბორუსიიდან“. ალანი იმიტომ, რომ მორჩილი ტანის მიუხედავად, სასწაულებს ახდენდა მინდორზე, კრუიფი კი უბრალოდ იმიტომ, რომ გენიოსი იყო.

● მუდმივი მისაბაძი მაგალითის როლში ყოფნა ალბათ ძნელია. ხომ არ ჰკარგავდით, ამის გამო ზოგჯერ ბუნებრივობას.

— მე მაქვს შეუვალი პრინციპი — ვილაპარაკო ის, რასაც ვფიქრობ. ეს პრინციპი არ მიქმნიდა ცხოვრებისეულ სირთულეებს. ამიტომაც უმთავრესად კარგ ხასიათზე ვარ და ვიღიმები.

● როგორი იყო პიერ ლიტბარსკი შინ და მინდორზე. იყო თუ არა მათ შორის განსხვავება?

— თქვენ წარმოიდგინეთ იყო. შინ სულ სხვა კაცი ვიყავი. გუნდში ლაზღანდარობა და ხუმრობა მიყვარდა, შინ კი ხმას ვერ ამომაღებინებდით.

● რა იყო თქვენთვის უფრო მნიშვნელოვანი — ფეხბურთი თუ ოჯახი?

— რა თქმა უნდა, ოჯახი. თუმცა, ფეხბურთს ჩემს ცხოვრებაში ყველაფრისგან განსხვავებული, განსაკუთრებული ადგილი უკავია.

● როგორ აღიქვამდით იმ წლებში პოპულარობას?

— ბუნებრივად. ერთხელ ვარჯიშის შემდეგ ბატარა ბიჭუნამ გამაჩერა, რაღაცის თქმა უნდოდა და ვერ ბედავდა. „აბა, ჩქარა წაიღე ავტოგრაფი, თორემ მეჩქარება“ — გავამხნევე იგი. „არა, ავტოგრაფი არ მინდა, მითხრა დაბნეულმა, თუ შეიძლება ცოტა ხნით ხელს მოგკიდებთ.“ ეს იყო ყველაზე ძვირფასი და ამაღელვებელი წუთები ჩემს ცხოვრებაში.

● დარწმუნებული ვართ, ხშირად გაწუხებდნენ ავტოგრაფების მოყვარულნი. რამდენ ავტოგრაფს არიგებდით თვეში?

— არ დამითვლია, მაგრამ, ვფიქრობ, დაახლოებით ათი ათასს.

● ხშირად ამოუცნობ ფეხბურთელს გიწოდებდნენ. თქვენ შეგეძლოთ მოწინააღმდეგის მთელი გუნდის გამწარება. მაგრამ თქვენვე შეგეძლოთ ერთი ხელის მოსმით ყველაფრის გაფუჭება. რა იყო ასეთი უკიდურესობების მიზეზი?

— განწყობილება, მეტი არაფერი. ზოგჯერ, რაღაც გაურკვეველი გრძნობა მეუფლებოდა. იმ დღეს არ უნდა მეთამაშა ფეხბურთი. მაგრამ თუ მაინც მაყენებდნენ შემადგენლობაში, მათი შეცდომა იყო და არა ჩემი. მე არ უარვყოფ, რომ ბურთის ტარება მიყვარდა. ეს ყველამ იცოდა, ამიტომ თავად უნდა მიეღოთ გადაწყვეტილება. სხვაგვარი თამაში, უბრალოდ რომ ვთქვა, არ შემეძლო.

● არადა, მაყურებელს მოსწონდა ბურთის ტარება, თქვენი ფინტები.

— ეს უზენაესის მიერ ბოძებული საჩუქარი იყო: არავის უსწავლებია ჩემთვის ფინტები. სწორედ ამიტომ, ქვეყნად ცოტაა ტექნიკური ფეხბურთელი. სულ სხვა საქმეა, ფიზიკური ძალა. აქ, რამდენსაც გნებავთ, იმდენ სახელოვან ფეხბურთელს შეარჩევთ.

● რა არის, თქვენი აზრით, ამის მიზეზი?

— ფიზიკურად ძლიერი ფეხბურთელის წინაშე ერთი მთავარი ამოცანაა დასმული: უსიტყვოდ შეასრულოს მწვრთნელის რჩევა-დარიგება და მონახოს უმოკლესი გზა ჭულების ასაღებად. თამაშის ხარისხი, ამ შემთხვევაში, არც ფეხბურთელს აინტერესებს, არც მწვრთნელს. ეს დიდი უბედურებაა, რომელიც სპობს ფეხბურთს. არადა, თუ მოთამაშემ დრიბლინგით მოისურვა მეტოქის კარისკენ გზის გაკვლევა, უმალ დაედევნება უკან მწვრთნელის უკმაყოფილო სიტყვები. მატჩის შემდეგ კი ასეთი „არაკოლეგიალური“ საქციელისთვის მწვრთნელმა მის მიმართ შეიძლება ფინანსური სანქციებიც გამოიყენოს.

● ალბათ ფსიქოლოგიურადაც უსიამოვნო იყო (სხვაზე რომ არაფერი ვთქვათ), ფინანსური სანქციების მუდმივი მოლოდინი?

— რა თქმა უნდა, ძნელი იყო. სწორედ ამიტომ, ბევრ ფეხბურთელს ბოლომდე ვერ გამოეყენებინა თავისი ბრწყინვალე ინდივიდუალური მონაცემები. სამწუხაროდ, ახლა და ახლა თამაში მეორეხარისხოვან მნიშვნელობას იძენს. გაზეთები უფრო მეტს წერენ იმაზე, თუ ვინ რამდენი ფული „გააკეთა“. სხვათა შორის, ფეხბურთისადმი ასეთი დამოკიდებულება არ მოსწონს მაყურებელს, გულშემატკივარს. იქნებ ამან უშველოს საქმეს?

ლიტბარსკი

● ფეხბურთის გარდა, რომელ სპორტს სცემთ პატივს?

— პირველ რიგში, ჩოგბურთს. კონკრეტულად ჯონ მაკინროეს. მას შეეძლო მაყურებლების მონუსხვა. ამავე დროს ქედს არ იხრიდა კრიტიკულ სიტუაციაში და ჰქონდა მებრძოლის უტეხი ხასიათი. მუდამ ვცდილობდი მას დავმსგავსებოდი. ერთხელ ბორის ბეკერმა მითხრა, ადამიანი უნდა შეესატყვისებოდეს იმას, რასაც თვითონ მიაღწია და რასაც წარმოადგენსო. მე მას ვეთანხმები.

● სანამდე გქონდათ განზრახული ფეხბურთის თამაში?

— სანამ არ დავკარგავდი პოპულარობას. სათადარიგოთა სკამზე ჩემი თავი ვერ წარმომედგინა.

● ფეხბურთი რომ არა, რომელ სპორტს აირჩევდით?

— ჩოგბურთს, იცით რატომ? წარმატება იქ მხოლოდ შენს თავზეა დამოკიდებული. სხვათა შორის, ისევე, როგორც წარუმატებლობა...

● თქვენი წასვლა ფეხბურთიდან, თუ არ ვცდებით, სუბიექტურმა ფაქტორებმა განაპირობა. ხომ არ დაგვისახელებთ რომელიმეს?

— ბერტი ფოგთსი იყო ის საბედისწერო პიროვნება, რომელმაც უარყოფითი როლი ითამაშა ჩემს საფეხბურთო კარიერაში და საგულდაგულოდ ჩამიკეტა ნაკრების კარები...

● ბევრმა ყოფილმა ფეხბურთელმა სპორტული კარიერის დამთავრების შემდეგ ტელევიზიაში დაიწყო მუშაობა. თქვენც ხომ არ აპირებთ კომენტატორობას?

— მართალი გითხრათ, ჯერ არ გადამიწყვეტია. ისე კი კარლ-ჰაინც რუმენიგე მაფრთხილებს არ გავბრიყვდე და ეს გზა არ ავირჩიო. არადა, გულახდილად გითხრათ, ჟურნალისტის პროფესია მომწონს.მე რომ რეპორტიორი ვიყო, მინდორთან ახლოს ვიმუშავებდი და ფეხბურთელებს მოულოდნელ შეკითხვებს მივცემდი...

● ალბათ ღირს ეს საუბარი ოცნებით დავასრულოთ. ახლა რომ 2000 წელი იყოს, რას ინატრებდით და რას არა?

— ვინატრებდი 2000 წლის ოლიმპიური თამაშების მაყურებელი ვიყო. დარწმუნებული ვარ, ეს იქნება ზღაპრული სანახაობა. შეიძენდი კომპიუტერს გრაფიკული თამაშისათვის და ჩემს გოგონას ვაჩუქებდი. თავისუფალ დროს კი ვივლიდი სტადიონზე და მეგობრებთან ერთად ბურთს გავაგორებდი. არ ვინატრებდი იმ „კოოლში“ თამაშს, რომლის მწვრთნელიც რინუს მიხელსი იქნებოდა...

ინტერვიუ გერმანელ ფეხბურთელს ამს-ს საგენტომ ჩამოართვა.

პროფესიულ რინგზე

როგორც არაერთხელ ვიუწყებოდით, 4 ნოემბერს ლას-ვეგასის რინგზე გაიმართება პროფესიონალ მოკრივეთა რამდენიმე მატჩი, რომელთაგან გაძლიერებულ ინტერესს იწვევს ორი: ტაისონ-ბასტერ მატისისა და ბოუ-ჰოლიფილდის ორთაბრძოლები. ბოლო სპარინგ-შეხვედრა მატისს ჰქონდა ვინმე სულეიმან მუჰამედთან. ამერიკელი მოკრივის მწვრთნელის ჯო ფარიელოს აზრით, მატისი ურიგოდ არ გამოიყურება. ყოველ შემთხვევაში, მისი ბრძოლა ტაისონთან გაცილებით უფრო საინტერესო იქნება, ვიდრე პიტერ მაკნილთან იყო.

პროფესიული კრივის ამომავალმა ვარსკვლავმა 61,2 კგ-ში, 22 წლის მსოფლიო ჩემპიონმა ოსკარ დე ლა ჰოიამ ჯორჯ ვაშინგტონის უმაღლესი სკოლის სტუდენტებთან შეხვედრისას განაცხადა, რომ აქვს ორი მიზანი: გახდეს აბსოლუტური ჩემპიონი თავის წონაში (მოიგოს პირველობა ოთხივე ვერსიით) და მიიღოს უმაღლესი განათლება არქიტექტურის სპეციალობით. მერე კი, როცა ამ მიზნებს მიაღწევს, გადავა უფრო მაღალ წონაში (63,5 კგ), რათა შეხვდეს ხულიო სესარ ჩავესს.

ჟენევაში, შვეიცარიის კრივის ფედერაციამ სამუდამო დისკვალიფიკაცია მიუსაჯა ალბანური წარმოშობის ამ ქვეყნის მკვიდრ რენცუშ დერმაკს, რომელმაც ერთ-ერთი საკლასიფიკაციო ბრძოლის დროს არბიტრთა გადაწყვეტილებით, უკმაყოფილომ უძლიერესი დარტყმა მიაყენა რეფერის და მის დასახმარებლად გაწეულ მეგობარ ქალს.

ბოლო ათი დღის განმავლობაში ფილიპინებზე ორი ტრაგიკული შემთხვევა მოხდა. ჯერ იყო ბრძოლის დროს მიღებული უძლიერესი დარტყმის შედეგად საავადმყოფოში, სისხლის ჩაქცევით გარდაიცვალა 19 წლის რესტიტუტო ესპინელი. ერთი კვირის შემდეგ, 10-რაუნდიან სარეიტინგო ბრძოლაში იგივე დაემართა ასევე 19 წლის მოკრივეს მარვინ კორპუსს. მწვრთნელის განცხადებით კორპუსს მერვე რაუნდის შემდეგ სურდა დანებება, მაგრამ გულშემატკივრების მოერიდა, რომლებიც მოითხოვდნენ ბრძოლის გაგრძელებას.

„მხოლოდ ამერიკაში: დონ კინგის ცხოვრება და ბოროტმოქმედებანი“

4 ნოემბერს ლას-ვეგასის „გრანდ ოტელის“ რინგზე მეორე შეხვედრას გამართავს ციხიდან გამოშვებული მსოფლიოს ექსჩემპიონი მაიკ ტაისონი. მისი მეტოქე იქნება ბასტერ მეტისი (უმცროსი) — საკმაოდ უსახელო მოკრივე, რომელიც შეარჩია ტაისონის პრომოუტერმა დონ კინგმა. სხვათა შორის, მისივე კანდიდატი იყო პიტერ მაკნილი, რომელთან გამარჯვებამ ტაისონს უსიამოვნება უფრო მოუტანა, ვიდრე სიხარული და სახელი.

მაიკ ტაისონი და მისი მუდმივი პრომოუტერი დონ კინგი.

ამერიკულმა პრესამ, ტაისონის ბლიც-გამარჯვების შემდეგ, მთლიანად გააშიშვლა მაკნილი და კრივის მოყვარულთ წარმოუდგინა ვინც არის იგი.

ჯერ ზოგადი დახასიათება, რომელმაც არ შეიძლება სიმპათიით არ განაწყოს გულშემატკივარი. პიტერ მაკნილი, მოკრივე, რომელმაც ჩაატარა 37 შეხვედრა, მოიგო 36, მათ შორის 30 ნოკაუტით, თანაც 26 შეხვედრა პირველსავე რაუნდში დაამთავრა. ეს ყველაფერი, რა თქმა უნდა, სოლიდურ შთაბეჭდილებას სტოვებს, მაგრამ არანაკლებ საინტერესოა ამ სტატისტიკასთან დაკავშირებული წვრილმანები.

რას წარმოადგენდნენ პიტერ მაკნილის მეტოქეები? 37 მოკრივეს სულ ჩატარებული ჰქონია 668 შეხვედრა. აქედან გამარჯვება მოპოვებულია 206 ბრძოლაში.

441 დამარცხება და 21 ფრე იმის მაჩვენებელია, რომ პიტერ მაკნილის მეტოქეები ვერაფერი მოკრივეები იყვნენ.

მაკნილის ერთ-ერთ ბოლო მეტოქეს წაგებული ჰქონია 67 შეხვედრა. მეორე მას 10 ნოკაუტის შემდეგ შეხვდა, მესამე კი 15-წლიანი შესვენების შემდეგ. თავად მაკნილმა ის ერთადერთი ბრძოლა წააგო შარშან 18 თებერვალს სტენლი რაიტთან მე-8 რაუნდში. რა ძალის მოკრივეა რაიტი, სჩანს ასეთი მაგალითიდან: ერთხელ იგი სპარინგ-პარტნიორად მიუწვევია რიდიკ ბოუს. პირველი დარტყმის შემდეგ ბოუს მწვრთნელებმა რაიტი გააგზავნეს შინ. როგორც არაკვალიფიციური მეტოქე. რაიტის სარეკორდო ჰონორარია ერთ ბრძოლაში მიღებული 10 ათასი დოლარი.

ძნელი მისახვედრი არაა, რატომ იყო უკმაყოფილო ამერიკის საზოგადოებრიობა ტაისონის გამარჯვებით. აი, რატომ გამოუცხადა მან სრული უნდობლობა დონ კინგის მიერ შერჩეულ კანდიდატს.

ახლა რამდენიმე ოფიციალური გამონათქვამი ტაისონზე პიტერ მაკნილისთან შეხვედრის შემდეგ (ცხელ გულზე):

„ნიუ-იორკ ტაიმსი“: რიდიკ ბოუ ტაისონს დააწვენდა ორთავე ბეჭზე. და ეს მოხდებოდა უთუოდ 12-რაუნდიანი ბრძოლის პირველ ნახევარში.

ტედი ატლასი (ტაისონის ყოფილი მოწინააღმდეგე) მსოფლიო ექსჩემპიონის არც ერთი შეტევა არ იყო მომზადებული, ამიტომაც დარტყმებიც ქაოტურად მეჩვენა. მაგრამ რაც ყველაზე მეტად გასაკვირია, ტაისონს არ გამოუყენებია საერთოდ მოკლე დარტყმები.

მანდრისი (მიმომხილველი). ტაისონი ცუდად იცავდა თავს. ფორმენი მას უსათუოდ გაგზავნიდა ნოკაუტში.

კევინ რუნი (ერთ დროს ავარჯიშებდა ტაისონს). ცუდად მუშაობდა ფეხებით: მეტოქისათვის არც ერთი დარტყმა არ მიუყენებია კორპუსში.

ორიოდე სიტყვა ტაისონის პრომოუტერ დონ კინგზე, რომელიც მსოფლიოს ექსჩემპიონთან მუშაობს 1988 წლიდან. ჟურნალისტთა აზრით იგი დემონური ტიპია და აქვს რაღაცა სატანისა. ამერიკაში მას ყველა იცნობს, მაგრამ არავინ არ სცემს პატივს. იგი არ უყვარდა არც მოჰამედ ალის და არც ლერი ჰოლმსს, თუმცა მასთან მუდმივად თანამშრომლობდნენ.

პიტერ მაკნილთან ბრძოლის წინ, რამდენიმე კვირით ადრე გამოვიდა ჟურნალისტ ჯეკ ნიუფილდის წიგნი ერთობ დამახასიათებელი სათაურით: „მხოლოდ ამერიკაში: დონ კინგის ცხოვრება და ბოროტმოქმედებანი“: ასეთ შესავალს, როგორც იტყვიან ხოლმე, კომენტარი არ სჭირდება.

30 წლის წინ იგი დაპატიმრებული იყო მკვლელობისათვის. ციხეში დაჰყო 4 წელიწადი. მას მერე მონაწილეობდა უამრავ ფინანსურ მაქინაციაში. ახლაც, მის წინააღმდეგ აღძრულია სისხლის სამართლის საქმე სახელმწიფო ბეგარის გადაუხდელობისათვის. სხვათა შორის, მოჰამედ ალიმ, ლერი ჰოლმსმა და მაიკ ტაისონმა (ციხეში ყოფნის დროს) მიიღეს წინადადება გამოსულიყვნენ სასამართლოზე ჩვენებებით. მაგრამ ვერც ერთმა ვერ გაბედა ეს. თუმცა, გამოჩნდა ვიღაც თავზეხელაღებული კაცი, რომელიც აპირებს დონ კინგის მხილებას. ეს პიროვნება საკმაოდ დიდხანს მუშაობდა კინგის ფირმაში და იცის მისი ყველა ასავალ-დასავალი. მისი გვარია მაფია.

ლუისი უჩივის ვბს-ს

მსოფლიოს ექსჩემპიონმა მძიმე წონაში, ინგლისელმა ლენოქს ლუისმა საჩივარი შეიტანა სასამართლოში ვბს-ს ვერსიით მსოფლიოს ახლანდელ ჩემპიონზე ფრენკ ბრუნოზე და მთელს ორგანიზაციაზე. ლუისს მიაჩნია, რომ ბრუნო (სხვათა შორის, ისიც ინგლისელია) პირველ რიგში უნდა შეხვდეს მას და არა მაიკ ტაისონს ან სხვა ვინმეს. შეგახსენებთ, რომ ბრუნომ ჩემპიონის ქამარი მოიპოვა 2 სექტემბერს ოლივერ მაკოლისთან გამარჯვების შემდეგ.

ინფორმაცია

ატლანტის მომავალმა ოლიმპიადამ დიდი აჟიოტაჟი გამოიწვია იქაურ მაცხოვრებლებში. სასტუმროებსა და მოტელებში ადგილების უკმარისობის გამო, ათასობით სახლის პატრონმა უკვე მიმართა ადგილობრივი უძრავი ქონების ოპერაციათა აგენტებს. ერთი ღამის გათევა 300-დან 500 დოლარამდე ეღირება, ოლიმპიადა კი 17 დღეს გასტანს.

ბუენოს-აირესი. დიეგო მარადონამ განაცხადა, რომ საფეხბურთო კარიერის დამთავრებას არ აპირებს 45 წლამდე (ახლა იგი 35 წლისაა). ამავე დროს რომში შემდგარმა სასამართლომ უარი უთხრა მარადონას ვექილს და დაადასტურა, რომ ფეხბურთელი არის პაწაწა მარადონას მამა, რომლის დედა გახლავთ ქრისტიანა სინაგრა.

ამოცანა

ა. გალიცკი, 1905 წ.



შამათი 2 სვლაში.

იუმორი



განცხადებები

ქირავდება სასაწყობე ფართობი მეტრო „დელისთან“ ახლოს, 1000 კვმ. ფასი შეთანხმებით. დარეკეთ: 39-11-49; 99-56-14.

ეროვნულ სტადიონზე („დინამო“) მუშაობა განაახლა საცურაო აუზმა. ტელ. 95-04-56.

გაზეთ „ლელოს“ რედაქცია თანაუგრძნობს შპს „საქპრესის“ დირექტორს გურამ დოლიძეს მეუღლის

ვიკა ლოლუა-დოლიძის

გარდაცვალების გამო.

გაზეთ „ლელოს“ რედაქცია თანაგრძნობას უცხადებს გაზეთ „გურჯისტანის“ მთავარ რედაქტორს სულეიმან სულეიმანოვს **დედის** გარდაცვალების გამო.

კროსვორდი ● კროსვორდი ● კროსვორდი



შვეულად: 1. რუსეთის ნაკრების წევრი ხოკეიში; 2. მსოფლიოს ჩემპიონი ჭადრაკში; 3. სამტრედიელი მსაჯი ფეხბურთში; 4. ბულგარეთის საფეხბურთო კლუბი; 6. გერმანიის „ბაიერის“ ფეხბურთელი; 7. „არსენალის“ ფეხბურთელი; 10. ავსტრიის საფეხბურთო კლუბი; 11. თელავის „კახეთის“ მეკარე; 15. იტალიის საფეხბურთო კლუბი; 16. ესპანეთის საფეხბურთო კლუბი; 20. ესპანეთის „ბარსელონას“ ფეხბურთელი, 1990 წლის მსოფლიო ჩემპიონატის მონაწილე; 22. ინგლისის საფეხბურთო სტადიონი; 25. გერმანიის „კიოლნის“ ფეხბურთელი, 1974 წლის მსოფლიო ჩემპიონი; 26. მექსიკელი ფეხბურთელი, ინგლისის მსოფლიო ჩემპიონატის მონაწილე; 28. მსოფლიო ჩემპიონი ჭადრაკში; 29. ბულგარეთის ნაკრების მთავარი მწვრთნელი.

თარაზულად: 5. 60-იან წლებში თბილისის „დინამოს“ თავდამსხმელი; 8. 1990-91 წლების ბრაზილიის ნაკრების მთავარი მწვრთნელი; 9. ძველი ქართული თამაში; 12. ბრაზილიელი ფეხბურთელი, 1970 წლის მსოფლიო ჩემპიონი; 13. 60-იანი წლებში ინგლისის საუკეთესო ფეხბურთელი; 14. კვიპროსის საფეხბურთო კლუბი; 17. ბათუმის „დინამოს“ თავდამსხმელი; 18. სიმფეროპოლის „ტავრიას“ თავდამსხმელი; 19. ინგლისის საფეხბურთო სტადი ონი; 21. ინგლისის უძლიერესი ფეხბურთელი 40-იან წლებში: 23. მექსიკის საფეხბურთო სტადიონი; 24. ინგლისელი ფეხბურთელი, 1966 წლის მსოფლიო ჩემპიონი; 27. ბათუმის „დინამოს“ ფეხბურთელი; 30. არგენტინელი ფეხბურთელი, ინგლისის მსოფლიო-ჩემპიონატის მონაწილე; 31. ჩეხოსლოვაკიის უძლიერესი ფეხბურთელი 40-იან წლებში; 32. რუსი ფეხბურთელი, რომელიც საბერძნეთის „ოლიმპიაკოსში“ თამაშობს.

შემდგენელი **ლევან ნეფარიძე**

„ლელოს“ მე-40 ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდის პასუხები

თარაზულად: 5. განტელი, 6. პენალტი, 9. ტრეკი, 10. „ავაზა“, 11. რკენა, 14. „კოლმეურნე“, 15. ენდო, 17. ფორა, 18 ფარი, 19. ობრი, 21. სეტი. 23. კლეი, 25. ტალი, 26. „არგო“, 27. ოსტროვსკი, 30. დუელი, 31. გურზი, 33. მენუა, 34. ისრაელი, 35. ბრუგერა.

შვეულად: 1. ინოკი, 2. „ალგა“ 3. უეფა“, 4. ბლეკი, 5. გარბენი, 7. იუნიორი, 8. მანეჟი, 12. სოკრატესი, 13. ანაბოლიკი, 16. ოფისი, 17. ფიფია, 20. მაისური, 22. მასარო, 24. ოგიმურა, 28. ფლორი, 29. მესეი, 31. გოლი. 32. იერო.

მთავარი რედაქტორი: თენგიზ გაჩეჩილაძე

თბილისი, 380096, მ.კოსტავას 14. ტელ. 99-56-14. ინდექსი 66436 INDEX. ● „ლელოს“ საგამომცემლო-კომპიუტერული სისტემა: ხელმძღვანელი გ. სიმონიშვილი. შემსრულებლები: ქ. შოშიტაშვილი, ნ. რამიშვილი, მ. ჯილაური. მ. წოწორია